



ადვოკატთა
საგანმანათლებლო
ცენტრი



ახალგაზრდა ადვოკატები
YOUNG BARRISTERS

დეკემბერი №6

სამეცნიერო ჟურნალი ახალგაზრდა ადვოკატები

თბილისი 2016



სამეცნიერო ჟურნალ - „ახალგაზრდა ადვოკატების“ მეექვსე ნომერი
ქ. თბილისი, დეკემბერი, 2016 წ.
ISSN 1512-4525

„ახალგაზრდა ადვოკატების“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“
ერთობლივი გამოცემა

© ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“
© შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“

აკრძალულია ჟურნალში წარმოდგენილი მასალის
გამოყენება წყაროს მითითების გარეშე

სარედაქციო კოლეგია:

რედაქტორი:

მარიკა არევაძე

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი; საქართველოს უნივერსიტეტის, საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) და ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი; ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; „ახალგაზრდა ადვოკატების“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ დამფუძნებელი

სამართლის დოქტორი; ასოცირებული პროფესორი; იურიდიული ფირმა J & T Consulting-ის მმართველი პარტნიორი - **გიორგი ცერცვაძე**

საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს წევრი; საგანმანათლებლო საბჭოს ხელმძღვანელი; იურიდიული კომპანია K&K Consulting-ს მმართველი პარტნიორი - **ირაკლი ყანდაშვილი**

სამართლის დოქტორი; საქართველოს უნივერსიტეტის პროფესორი - **მალხაზ ბეგიაშვილი**

საქართველოს უნივერსიტეტის დოქტორანტი; საქართველოს უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი და სადოქტორო პროგრამების მენეჯერი - **თამარ ბიწაძე**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ ხელმძღვანელი; მედია-სამართლის სპეციალისტი; ადვოკატი სამოქალაქო სამართლის სპეციალიზაციით; ქართულ-ამერიკული უნივერსიტეტის მოწვეული ლექტორი - **არჩილ კაიკაციშვილი**

ევროპის სასწავლო უნივერსიტეტის, კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის და საქართველოს ეროვნული უნივერსიტეტის (SEU) მოწვეული ლექტორი - **ეკა კაველიძე**

„ახალგაზრდა ადვოკატების“ სამართლის ჯგუფის ხელმძღვანელი - **რუსლან ალექსიძე**

„ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ საერთაშორისო ურთიერთობებისა და პროექტების მენეჯერი - **არჩილ ნადირაძე**

გამოცემის დიზაინი:

რობი გეთიაშვილი

სტამბა:

დანი

სარჩევი

წინათქმა	4
----------------	---

თორნიკე კაპანაძე

სადაზღვევო ურთიერთობის ალექტორული ბუნება და გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის მიხედვით	5
---	---

მარიამ გუგუტიშვილი

სახელშეკრულებო თავისუფლება და მისი საზღვრები ქართულ კერძო სამართალში	23
--	----

მარიამ მაჭარაშვილი

სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის კონკურენციის პრობლემა სამოქალაქო სამართალში	35
--	----

ეთო რუხაძე, რევაზ დეკანოსიძე

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის უარყოფის საფუძველი	46
---	----

ნატალია მაისურაძე

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური უფლებები საქართველოში	58
---	----

მედეა ბაბუხაძია

კონტროლი საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობაზე – ომბუდსმენი	69
--	----

ჟურნალში წარმოდგენილი სტატიის შინაარსსა და
მასში გამოყენებული მასალის მიმართ არსებული საავტორო უფლებების დაცვაზე
პასუხისმგებელია სტატიის ავტორი

წინათქმა

პერიოდული სამეცნიერო ჟურნალის - „ახალგაზრდა ადვოკატების“ გამოცემა დაიწყო 2014 წელს, „ახალგაზრდა ადვოკატების“ მიერ. ჟურნალის პირველი ნომერი გამოიცა 2014 წლის მარტის თვეში. ჟურნალი წელიწადში ორჯერ გამოდის და სამართლის დარგში აღიარებულ მეცნიერებს, საქართველოს ახალგაზრდა ადვოკატებს, დამწყებ თუ მოქმედ იურისტებს/ადვოკატებს შესაძლებლობას აძლევს მათთვის საინტერესო სამართლებრივ საკითხებზე მოამზადონ და გამოაქვეყნონ სტატიები. ჟურნალი არის რეფერირებადი გამოცემა და მას მინიჭებული აქვს პერიოდული გამოცემის ნომერი - ISSN 1512-4525.

2015 წლის ივლისიდან, ჟურნალის გამოცემა ხორციელდება ერთობლივად „ახალგაზრდა ადვოკატებისა“ და „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრის“ მიერ. ორგანიზაცია „ახალგაზრდა ადვოკატები“ დაფუძნდა 2012 წელს და დაფუძნების დღიდან აქტიურ უფლებადაცვით საქმიანობას ახორციელებს. ორგანიზაცია ორიენტირებულია კვლევით საქმიანობაზე, ამზადებს თემატურ დასკვნებსა და რეკომენდაციებს, მრგვალ მაგიდას აქტუალური თემების გაშუქებისა და დისკუსიისათვის. „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ კი დაფუძნდა 2015 წლის მაისში. ცენტრის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს წარმოადგენს - საგანმანათლებლო საქმიანობა; ლექციების, სემინარების და ტრენინგების ორგანიზება და ჩატარება; კონფერენციების ან/და მრგვალი მაგიდების ორგანიზება და ჩატარება; კვლევების მომზადება/გამოცემა; სამეცნიერო, საგანმანათლებლო ან/და საინფორმაციო ჟურნალების, ბროშურების ან/და ბუკლეტების გამოცემა. ცენტრი ორიენტირებულია იურიდიული პროფესიის განვითარებაზე და ხელს უწყობს ბაზარზე მაღალკვალიფიციური კადრის ჩამოყალიბებას.

სამეცნიერო ჟურნალის მიმდინარე, მე-6 ნომერში წარმოდგენილია კონკურსის შედეგად შერჩეული სხვადასხვა უნივერსიტეტის სტუდენტების სტატიები.

**სადაზღვევო ურთიერთობის ალექტორული ბუნება და გავლენა
ხელშეკრულების არსებით პირობებზე ქართული კანონმდებლობის
მიხედვით**

თორნიკე კაპანაძე

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტი*

შესავალი

სადაზღვევო ურთიერთობები თანამედროვე ცხოვრების განუყოფელი ნაწილია. თანამედროვე ურთიერთობების, იქნება ეს საქმიანი თუ პირადი, თითქმის ყველა სფეროს თანმდევ ელემენტად იქცა დაზღვევა. ხშირია ისეთი მოვლენები, რომლებმაც უარყოფითი ზემოქმედება შეიძლება იქონიონ ადამიანის ქონებაზე, სიცოცხლეზე ან ჯანმრთელობაზე, ან პირი შეიძლება თვითონ გახდეს ასეთი მოვლენების გამომწვევი მიზეზი. დაზღვევის მეშვეობით უზრუნველყოფილია მოქალაქის ქონებაზე, სიცოცხლეზე და ჯანმრთელობაზე მიყენებული ზიანის ანაზღაურება. რამდენადაც საზოგადოების განვითარებასთან ერთად იზრდება უარყოფითი გარემოებების დადგომის საშიშროება, იმდენად იზრდება დაზღვევაზე მოთხოვნილება.

ნაშრომის მიზანს წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების ალექტორული ბუნების წარმოჩენა და იმის დადგენა თუ რა გავლენას ახდენს დაზღვევის ურთიერთობის ალექტორული, სარისკო ხასიათი დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

**1. დაზღვევის წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორიული
ექსკურსი**

ისტორიულად დაზღვევის დანიშნულებას დამდგარი ზიანის შედეგად status quo-ს აღდგენა წარმოადგენდა.¹ დაზღვევა თანამედროვე

¹ დაზღვევის უძველესი მაგალითები ერთმანეთისგან განსხვავებულ და სამართლებრივი თვალსაზრისით არაერთგვაროვან შეთანხმებებს წარმოადგენდნენ. მაგრამ არსებითია, რომ ყოველი მათგანი შეიცავდა შეთანხმებას რისკის განაწილების შესახებ; Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, 2007, p. 15-16 - მით.: ირემაშვილი ქ.,

სამართლებრივ წესრიგშიც ზიანის ანაზღაურების ფუნქციას ასრულებს. აღნიშნულის გათვალისწინება მნიშვნელოვანია, რამდენადაც ამ უმთავრესი პრინციპიდან გამომდინარე ეყრება საფუძველი დაზღვევის კლასიკურ დოქტრინებს.²

დაზღვევამ, როგორც ფინანსური საქმიანობის შემადგენელმა ნაწილმა, წარმოშობიდან დღემდე განვითარების გრძელი გზა განვლო და დიდი ისტორიაც გააჩნია.

დაზღვევის წარმოშობა უკავშირდება ადამიანთა საზოგადოების გონებრივი და სამეურნეო-ეკონომიკური განვითარების იმ პერიოდს, როცა ადამიანებმა შეიცნეს საზოგადოებრივ-ეკონომიკურ საქმიანობაში წინააღმდეგობრივი და ხელშემშლელი ფაქტორების (მოვლენების) არსებობა და გაიაზრეს მათი დაძლევისა და გადალახვის ეფექტიანი საშუალებების გამოჩენის საჭიროება და აუცილებლობა.³

დაზღვევის პირველადი ფორმები გვხვდება შუმერებში, სადაც ჩვენს წელთაღრიცხვამდე IV-III ათასწლეულში ვაჭრებს ტვირთის დაკარგვის შემთხვევაში, ეძლეოდათ ერთჯერადი ფინანსური გარანტია ან ფულადი თანხა (სესხის ფორმით) მათი ინტერესების დასაცავად.⁴ სავაჭრო ქარავნის წევრებს შორის არსებობდა შეთანხმება, რომ ერთობლივად აენაზღაურებინათ ზიანი. თუმცაღა, ამ პერიოდში რაიმე სპეციალური ფონდები ამ მიზნის მისაღწევად არ შექმნილა. ზარალის ანაზღაურება ხდებოდა ფაქტობრივად არსებული სახსრებიდან. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ თავდაპირველად დაზღვევა სულ სხვა, უფრო პრიმიტიული ფორმით არსებობდა.⁵ ბაბილონელების მიერ შემუშავებული სისტემა ძველი წელთაღრიცხვით 1750 წელს იქცა მეფე ჰამურაბის კანონების შემადგენელ ნაწილად და მას იყენებდნენ ხმელთაშუა ზღვის იალქნიანი გემებით მოვაჭრეები.

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 2 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

² იხ. იგივე, გვ. 2.

³ იხ. შათირიშვილი ჯემალ, კაკაშვილი ნატო, სადაზღვევო საქმე, მე-2 გამოცემა, თბილისი 2012, გვ. 30.

⁴ დამატებით იხილეთ www.utikafirst.com.

⁵ იხ. Шахов В.В., Введение в страхование, 2000, ст. 277.

ლ. გოლდშმიტის შეხედულებით დაზღვევის ხელშეკრულების დადების პრაქტიკა უკვე არსებობდა ძველ რომში.⁶ იმავეს ამტკიცებს დოქტორი მორითც კუნი, რომელიც დაზღვევის ინსტიტუტის საწყის ფორმებს პოულობს ძველ საბერძნეთსა და ძველ რომში.⁷ შუა საუკუნეების დაზღვევა საერთოდ ცნობილია როგორც ამქრულ-გილდიური დაზღვევა. პირველი გილდიები წარმოიშვა ინგლისში (X-XI სს), შემდეგ გერმანიაში (XI-XII სს.)⁸, დანიაში (XIII ს.) და ა.შ. შუა საუკუნეების გილდიების პრინციპი იყო “ერთი ყველასათვის – ყველა ერთისათვის”.⁹

დაზღვევის ჩამოყალიბების თაობაზე ერთერთი ყველაზე გავრცელებული შეხედულების მიხედვით დაზღვევა, როგორც ასეთი, ჩამოყალიბდა XIV საუკუნის შუა პერიოდში. ალფრედ მანესის გადმოცემით, დაზღვევის ნამდვილი ისტორია იწყება მხოლოდ XIV საუკუნის შუა პერიოდიდან. მანამდე კი არსებობდნენ დაზღვევის მსგავსი ინსტიტუტები, მაგრამ დაზღვევა ჯერ კიდევ არ არსებობდა.¹⁰

ვ. ერენბერგი თავის ნაშრომში ამტკიცებს, რომ დაზღვევის ისტორია იწყება კომერციული დაზღვევის წარმოშობით.¹¹ ი. ემარის შეხედულების მიხედვით, მოცემული პერიოდის განმავლობაში არსებობდნენ მხოლოდ ისეთი ინსტიტუტები, რომლებიც თავისი სტრუქტურით ემსგავსებოდნენ დაზღვევას, მაგრამ მათ შორის გამოკვეთილი იყო დახმარების ურთიერთობის ნიშნები.¹²

⁶ იხ. L. Goldschmidt, Handbuch des Handelsrechts. 3. Aufl. B. I, 1891. Abt: Universalgesnsichte des Handelsrechts – მით.: გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი 2002, გვ. 18.

⁷ იხ. Moritz Kuhn, Grundzuge des Schweizerischen Privat Versicherungsrechts. 1989. s. 3-4 – მით.: იქვე.

⁸ 1310 წელს, ქალაქ ბრიუგეში (გერმანია) შეიქმნა სადაზღვევო პალატა, რომელიც ასრულებდა სადაზღვევო ოპერაციებს ვაჭართა და ხელოსანთა გილდიების კომერციული ინტერესების დაცვის მიზნით. – დამატებით იხ. www.utikafirst.com.

⁹ იხ. შათირიშვილი ჯემალ, კაკაშვილი ნატო, სადაზღვევო საქმე, მე-2 გამოცემა, თბილისი 2012, გვ. 33.

¹⁰ იხ. A. Manes, Versicherungswesen. 4. Aufl. 1924 – მით.: გვარამია ლევან, სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი 2002, გვ. 18.

¹¹ იხ. V. Ehrennberg, Versicherungsrecht. 1893 – მით.: იქვე.

¹² იხ. I. Hemard, Theori et pratique des assurances terrestres. t. I, 1924 – მით.: იქვე.

დაზღვევის განვითარების პროცესი ხშირად დაკავშირებული ყოფილა კონკრეტულ მოვლენასა და შემთხვევასთან. ასე მაგალითად, დღეს მოქმედი ხანძრისგან დაზღვევის ფორმის წარმოშობა უკავშირდება ლონდონში 1666 წელს გაჩენილ დიდ ხანძარს. ამ უბედური შემთხვევის შემდგომ გაიხსნა შენობების დაზღვევის ოფისი, ხოლო მოგვიანებით 1680 წელს დაარსდა ინგლისის ხანძარსაწინააღმდეგო დაზღვევის კომპანია. ამ პერიოდიდან სულ რამოდენიმე ათეულ წელში, მას შემდეგ რაც გაიზარდა ლონდონის, როგორც სავაჭრო ცენტრის მნიშვნელობა, დაარსდა პირველი სადაზღვევო კომპანია „Lloyds of London“.¹³

2. დაზღვევის წარმოშობა და განვითარება საქართველოში

საქართველოში სადაზღვევო საქმის განვითარებას საფუძველი დაედო 1916 წლიდან, მას შემდეგ, რაც ქ. ბაქოში შეიქმნა კავკასიის მასშტაბით ფუნქციონირებადი სადაზღვევო სტრუქტურა – დაზღვევის ამხანაგობა. 1921 წლის აპრილში რევოლუციურმა კომიტეტმა გამოსცა დეკრეტი “სოციალური დაზღვევის შესახებ”, რითაც შემოღებული იქნა დაზღვევა გარდაცვალების, ინვალიდობის, ქვრივობის და სხვა შემთხვევაში.¹⁴

1930-იან და შემდგომ წლებში განხორციელდა სადაზღვევო რეფორმა. საქართველოში, ისევე როგორც სსრკ-ს სხვა მოკავშირე რესპუბლიკებში, ძირითადად მოქმედებდა სახელმწიფო სავალდებულო დაზღვევის შემდეგი სახეობები: მგზავრთა დაზღვევა, საწარმო-ორგანიზაციების ქონების დაზღვევა, საცხოვრებელი სახლებისა და ბინების დაზღვევა და ა.შ.¹⁵

საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის პერიოდიდან ქვეყნის სადაზღვევო სისტემამ არსებითი ხასიათის ტრანსფორმაცია განიცადა. საქართველოში 1997 წელს დაწყებული რეფორმიდან განვლილი დროის მონაკვეთში შეიქმნა დაზღვევის მარეგულირებელი ის აუცილებელი საკანონმდებლო ბაზა, რომლის არსებობის გარეშეც შეუძლებელია თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი სადაზღვევო ინფრასტრუქტურის განვითარება.¹⁶

¹³ იხ. <http://www.lloyds.com/lloyds/about-us/history> .

¹⁴ იხ. შათირიშვილი ჯემალ, კაკაშვილი ნატო, სადაზღვევო საქმე, მე-2 გამოცემა, თბილისი 2012, გვ. 36.

¹⁵ იხ. იგივე, გვ. 37.

¹⁶ იხ. იქვე.

კონტინენტური ევროპის სამართალი დაზღვევის ხელშეკრულებას განიხილავს როგორც სამოქალაქო სამართლის, კერძოდ, ვალდებულებითი სამართლის ნაწილს.¹⁷ თუმცადა, მთელი რიგი ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში არ არის გათვალისწინებული სპეციალური ნორმები დაზღვევის ხელშეკრულების შესახებ. ნებაყოფლობითი დაზღვევის შესახებ ცალკე, სპეციალური კანონი მოქმედებს საფრანგეთში, გერმანიაში, შვეიცარიაში. იაპონიის სავაჭრო კოდექსში მოცემულია დაზღვევის ხელშეკრულების თავი, იტალიის სამოქალაქო კოდექსში კი სპეციალური თავი აქვს დათმობილი დაზღვევის ხელშეკრულებას.

ანალოგიური მდგომარეობაა საქართველოშიც, სადაც დაზღვევის ხელშეკრულება მოცემულია სამოქალაქო კოდექსის მესამე წიგნში, ვალდებულებითი სამართლის განსაკუთრებულ ნაწილში.

3. დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება

სადაზღვევო ურთიერთობა დაზღვევის სამართლის ნორმებით რეგულირებული საზოგადოებრივი ურთიერთობაა, რომელიც წარმოიშობა სადაზღვევო საქმიანობის განხორციელების პროცესში.¹⁸

დაზღვევის ხელშეკრულება სამოქალაქო-სამართლებრივი ხელშეკრულებაა; პირი ამ სახის ხელშეკრულებას სადაზღვევო კომპანიასთან აფორმებს ბუნების დამანგრეველი ძალების ან სხვა მავნე ფაქტორებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების უზრუნველსაყოფად.¹⁹ სადაზღვევო ურთიერთობა ასევე შეიძლება იყოს არასახელშეკრულებო, სავალდებულო სახის (სკ-ის 799-ე და 801-ე მუხლები).

სამართლებრივი ბუნებით დაზღვევის ხელშეკრულება ორმხრივად მავალდებულებელი, კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულებაა. დაზღვევის ხელშეკრულების სინალაგმატური ბუნება მხარეებისთვის ურთიერთშემხვედრი უფლება-მოვალეობების დაკისრებით გამოიხატება. მზღვეველი უფლებამოსილია, მოითხოვოს სადაზღვევო პრემიის გადახდა და ვალდებულია, აანაზღაუროს სადაზღვევო შემთხვევის დადგომით

¹⁷ იხ. ზოიძე ბესარიონ, ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, მესამე-მეოთხე კვარტალი, გვ. 113-114.

¹⁸ იხ. Тарадонов С., Страховое право, М., 2007, стр. 21. – მით.: ქეცბაია ე., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(43), 2014, გვ. 85.

¹⁹ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გვ. 106.

გამოწვეული ზიანი. თავის მხრივ, დამზღვევი უფლებამოსილია, მოითხოვოს ზიანის ანაზღაურება და ვალდებულია, შეთანხმებული ჯერადობითა და ოდენობით იხადოს სადაზღვევო პრემია.²⁰

სადაზღვევო ურთიერთობის სუბიექტებია დამზღვევი, პირი, რომელიც მიმართავს კომპანიას დაზღვევის მისაღებად და მზღვეველი – პირი, რომელიც კისრულობს ვალდებულებას აუნაზღაუროს მზღვეველს სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას მიყენებული ზარალი. ზოგიერთი მეცნიერი სადაზღვევო ურთიერთობის სუბიექტს ყოფს შემდეგნაირად: დაზღვეული პირი და მოსარგებლე²¹ (ეს შეიძლება იყოს თავად დაზღვეული, მესამე პირი ან დაზღვეულის მემკვიდრე).²²

სადაზღვევო სამართალურთიერთობის აუცილებელი ელემენტია მისი ობიექტი. „დაზღვევის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლის თანახმად, დაზღვევის ობიექტი შეიძლება იყოს ნებისმიერი ქონებრივი ან პირადი არაქონებრივი ინტერესი, რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას, მათ შორის: ა) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის სიცოცხლესთან, ჯანმრთელობასთან, შრომისუნარიანობასთან, საპენსიო უზრუნველყოფასთან და სხვა პირად ინტერესებთან (პირადი დაზღვევა); ბ) დაზღვევა, დაკავშირებული ქონების ფლობასთან, განკარგვასთან და ქონებით სარგებლობასთან (ქონების დაზღვევა); გ) დაზღვევა, დაკავშირებული დაზღვეულის მიერ მესამე (ფიზიკური ან იურიდიული) პირისათვის ან მისი ქონებისათვის მიყენებულ ზიანთან (პასუხისმგებლობის დაზღვევა).²³

დაზღვევის ობიექტის ცნება მიეკუთვნება დაზღვევაში გამოსაყენებელ სადავო ცნებათა რიცხვს. ხშირად დაზღვევის ობიექტისა და დაზღვევის საგნის ცნებების აღრევა ხდება. დაზღვევის საგანი არის ის, რაც დაზღვეულია, ხოლო დაზღვევის ობიექტი არის ის, რაზეც მიმართულია დაზღვევა.²⁴

²⁰ იხ. ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 5 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

²¹ იხ. Белых В.С. Страхование право России, Изд. "НОРМА", Москва, 2009 . ст. 89.

²² იხ. Фогельсон Ю. Б. Страхование право, Теоретические основы и практика применения. Изд. "НОРМА", Москва, 2009 . ст. 116.

²³ გვ. ქეცბაია ე., ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(43), 2014, გვ. 91.

²⁴ იხ. იგივე, გვ. 92.

სადაზღვევო ინტერესი ის სამართლებრივი ინტერესია, რომელიც დამზღვევს გააჩნია დაზღვევის ობიექტის მიმართ²⁵ პირადი დაზღვევის შემთხვევაში. სადაზღვევო ინტერესი მიმართულია დამზღვევის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის, ხოლო ქონების დაზღვევისას კი – ქონების შენარჩუნებისაკენ.²⁶

სადაზღვევო ინტერესი მკვეთრად უნდა გაიმიჯნოს დაზღვევის ობიექტისგან. სადაზღვევო ინტერესი არ გულისხმობს მხოლოდ უფლებას დაზღვევის ობიექტზე ან მის ნაწილზე. სადაზღვევო ინტერესი მჭიდრო კავშირს გამოხატავს დამზღვევსა და დაზღვევის ობიექტს შორის. დაზღვევის ობიექტის ღირებულება გამოხატულებას ფულად ერთეულში პოულობს. სადაზღვევო ინტერესის ღირებულება კი შეიძლება ბევრად აღემატებოდეს დაზღვევის ობიექტის ღირებულებას, რადგან სადაზღვევო ინტერესი მატერიალური და მორალური ინტერესების ერთობლიობაა.²⁷

4. დაზღვევის ფორმები და სახეები

განასხვავებენ დაზღვევის სავალდებულო და ნებაყოფლობით ფორმებს. სავალდებულო დაზღვევას არეგულირებს საჯარო სამართალი და წარმოიშობა კანონის საფუძველზე. სამოქალაქო კოდექსი კი აწესრიგებს ნებაყოფლობით სადაზღვევო ურთიერთობას.²⁸

უფრო ზოგადი კლასიფიკაციის სახით, დაზღვევის ობიექტის მიხედვით განარჩევენ ქონებრივ და პირად დაზღვევას. თუ დაზღვევის ობიექტია ნებისმიერი ქონება, მაშინ უნდა გაფორმდეს ქონების დაზღვევის ხელშეკრულება, ხოლო დამზღვევის (დაზღვეული პირის) სიცოცხლისა და

²⁵ Garner B. (ed.), Black's Law Dictionary, 8th ed., Thomson West, 2004, 829. - მით.: ირემაშვილი ქ., სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, სამართლის ჟურნალი, N2, 2013, გვ. 58.

²⁶ Cannar K., Essential Cases in Insurance Law, Woodhead-Faulkner, Cambridge, 1985, 4. - მით.: იქვე.

²⁷ იხ. ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 15 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

²⁸ სავალდებულო დაზღვევასთან მიმართებაში საინტერესოა საქართველოს საკნოსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება (1/2/106) საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი ბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22.

ჯანმრთელობის დაზღვევისას ფორმდება პირადი დაზღვევის ხელშეკრულება.²⁹

5. დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობები

დაზღვევის ხელშეკრულების მიმართ მოქმედებს სახელშეკრულებო სამართლის ზოგადი და სპეციალური წესები. მაგალითად, დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად აუცილებელია ორი ურთიერთმფარავი ნების - ოფერტისა და აქცეპტის, გამოვლენა; მხარეების მიერ გამოვლენილი ნების ნამდვილობა; დაზღვევის ობიექტის კანონიერება;³⁰ დაზღვევის ხელშეკრულების შინაარსის შესატყვისობა საჯარო წესრიგთან³¹ და მისთ.³²

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 327-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ხელშეკრულება დადებულად ითვლება, თუ მხარეები მის ყველა არსებით პირობაზე შეთანხმდნენ საამისოდ გათვალისწინებული ფორმით. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, დგინდება თუ როგორი პირობა შეიძლება იქნეს მიჩნეული არსებითად: არსებითად ჩაითვლება ხელშეკრულების ის პირობები, რომლებზედაც ერთერთი მხარის მოთხოვნით მიღწეულ უნდა იქნეს შეთანხმება, ანდა რომლებიც ასეთად მიჩნეულია კანონის მიერ.³³

არსებითი პირობების ზუსტი ჩამონათვალი კანონმდებლის მიერ არ არის განსაზღვრული. ამის გაკეთება შეუძლებელიცაა. მცირე გამოწვევის გარდა, ამ პირობებს თვით მხარეები განსაზღვრავენ. ასეთად ხელშეკრულების მხოლოდ ის პირობები ჩაითვლება, რომლებზედაც მხარეები უნდა შეთანხმდნენ.³⁴ როგორც წესი, ხელშეკრულების მხარეს უნდა შეეძლოს ოფერტიდან დასადები ხელშეკრულების ისეთი პირობების ამოკითხვა, როგორიცაა: ხელშეკრულების საგანი, მხარეთა შესაბამისი

²⁹ იხ. ცისკაძე მარიამ, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2001, გვ. 36.

³⁰ იხ. Jerry/Richmond, Understanding Insurance Law, 2007, p. 1018. - მით.: ირმაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 13 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

³¹ იხ. Cannar, Essential Cases in Insurance Law, 1985, p. 1. - მით.: იქვე.

³² იხ. იქვე.

³³ იხ. ჭეჭელაშვილი ზურაბ, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „ბონა კაუზა“, თბილისი 2014, გვ. 63.

³⁴ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, ტომი II, გვ. 89-90.

ვალდებულებები და ოფერტის ადრესატი (essentialia negotii).³⁵ თუმცადა, მხოლოდ აღნიშნული ჩამონათვალით შემოფარგვლა არ იქნება სწორი. ყოველი ხელშეკრულების ტიპს შეიძლება დამატებით მოსდევდეს უშუალოდ კონკრეტული ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი პირობები, რომლებიც ასევე შეიძლება მიეკუთვნებოდეს არსებით პირობათა რიცხვს. როგორც წესი არსებით პირობებს უნდა შეიცავდეს ოფერტი.^{36,37}

სადაზღვევო ურთიერთობის წარმოშობის წინაპირობას წარმოადგენს სადაზღვევო ხელშეკრულების არსებობა. დაზღვევის ხელშეკრულების დადებამდე მხარეები უნდა შეთანხმდნენ დაზღვევის ინტერესისა და საგნის შესახებ; ზუსტად უნდა განსაზღვრონ სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა, სადაზღვევო საზღაურის გამოანგარიშების წესი, ასევე სადაზღვევო შენატანის (პრემიის) გამოანგარიშების წესი და პირობები. ამ პირობებზე შეთანხმების გარეშე დაზღვევის ხელშეკრულება არ დაიდება.³⁸ ეს გარემოებები წარმოადგენს დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობებს და თუ მხარეები არ შეთანხმდნენ ხელშეკრულების არსებით პირობებზე ხელშეკრულება დადებულად არ ითვლება.

სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს.³⁹ მხარეები სადაზღვევო შემთხვევას არსებითი პირობის სახით წინასწარ განსაზღვრავენ ხელშეკრულებაში.⁴⁰

დაზღვევის ხელშეკრულებაში ასევე მნიშვნელოვანია არსებითი პირობის სახით სადაზღვევო რისკის განსაზღვრა.⁴¹ ამასთან, ერთმანეთისგან უნდა

³⁵ იხ. Schack, BGB-Allgemeiner Teil, 13. Aufl. 2011, 56 – მით.: ავტორთა კოლექტივი, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014, გამომცემლობა სამართალი, გვ. 116.

³⁶ იხ. Kotz, Vertragsrecht, 2009, 39 – მით.: იქვე.

³⁷ იხ. ავტორთა კოლექტივი, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014, გამომცემლობა სამართალი, გვ. 116.

³⁸ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გვ. 107 .

³⁹ საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება.

⁴⁰ იხ. ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 6 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

⁴¹ სადაზღვევო რისკის შეფასება სცილდება სამართლებრივი რეგულირების სფეროს და სადაზღვევო კომპანიის შიგნით ანდერრაიტინგის სახით ხორციელდება. სამართლებრივი თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, რომ სადაზღვევო რისკი დაზღვევის ხელშეკრულების არსებით პირობას წარმოადგენს (იხ. 327 I) და ხელშეკრულების დადებისათვის მასზე შეთანხმება სავალდებულოა. - მით.: იქვე.

გაიმიჯონოს სადაზღვევო შემთხვევა და სადაზღვევო რისკი. მაგალითად: თუ დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო შემთხვევად ხანძარი განისაზღვრა, ერთ-ერთ რისკ-ფაქტორად შეიძლება განიხილებოდეს შენობაში ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის მწყობრიდან გამოსვლა.⁴²

სადაზღვევო შემთხვევა წარმოადგენს სადაზღვევო რისკის რეალიზაციის შედეგს. დაზღვევის რისკი კონკრეტულად უნდა იქნეს მითითებული დაზღვევის ხელშეკრულებაში.⁴³ “დაზღვევის შესახებ” საქართველოს კანონის მე-2 მუხლის “ი” პუნქტის თანახმად, სადაზღვევო რისკი არის მოვლენა, რომელიც შეიცავს მისი დადგომის შესაძლებლობის და შემთხვევითობის ნიშნებს და რომლის გამოც ხდება დაზღვევა. რისკის მახასიათებელ ნიშნებზე შემდგომ თავებში უფრო დეტალურად გვექნება საუბარი.

მზღვეველი და დაზღვეული სადაზღვევო ურთიერთობას არეგულირებენ სპეციალური ხელშეკრულებით, რომელმაც შემდგომ პრაქტიკაში პოლისის სახელწოდება მიიღო. პოლისი – ეს არის დოკუმენტი (სახელობითი ან წარმომდგენზე), რომელიც ადასტურებს სადაზღვევო ხელშეკრულების დადებას და შეიცავს მზღვეველის ვალდებულებას, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას, გადაუხადოს დაზღვეულს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ფულადი თანხა – სადაზღვევო კომპენსაცია ან ანაზღაურება. დაზღვევის პოლისებს გადასცემდნენ ჯერ კიდევ XIV საუკუნეში გენუაში, როგორც დაზღვევის ხელშეკრულების დამადასტურებელ დოკუმენტს.⁴⁴

სადაზღვევო პოლისის რეკვიზიტების სრულად მითითებას დაზღვევის ხელშეკრულების დასადებად გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია, რადგან საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 802-ე მუხლში პირდაპირ არის მითითებული პოლისის შინაარსი და ჩამოთვლილია დაზღვევის ხელშეკრულების არსებითი პირობები.

6. დაზღვევის ხელშეკრულების ალექტორული ხასიათის გავლენა ხელშეკრულების არსებით პირობებზე

⁴² იხ. იქვე.

⁴³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გვ. 108.

⁴⁴ იხ. ცისკაძე მარიამ, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა “მერიდიანი”, თბილისი 2001, გვ. 21.

ექიმოლოგიური განმარტება ტერმინისა „ალეატორული“ მომდინარეობს ლათინური სიტყვისგან „ალეა“, რაც ნიშნავს აზარტულ თამაშს, კამათელს. მისგან ნაწარმოები სიტყვა „ალეატორი“ კი ნიშნავს აზარტულ მოთამაშეს.⁴⁵ თავდაპირველად ალეატორულად იწოდებოდნენ მხოლოდ იღბალზე დაფუძნებული თამაშობის ხელშეკრულებები. მოგვიანებით ალეატორული ხელშეკრულების გაგებამ ტრანსფორმაცია განიცადა და დღეს ალეატორულ ხელშეკრულებებს მიაკუთვნებენ ყველა იმ ხელშეკრულებას, სადაც იღბალი (შანსი) თამაშობს მთავარ როლს მიზნების და შედეგების განსაზღვრაში. მოცემული მომენტისათვის ალეატორული ხელშეკრულების განმარტება შეიძლება ასე ჩამოვყალიბოთ: ალეატორულ ხელშეკრულებას წარმოადგენს ხელშეკრულება, საიდანაც წარმოშობილი ვალდებულებების შესრულება დამოკიდებულია განუსაზღვრელ მოვლენაზე.^{46,47}

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება დაზღვევის პირობით (ალეატორულ) გარიგებებთან მსგავსების შესახებ. სსკ-ის 90-ე მუხლის მიხედვით, პირობითად ითვლება გარიგება, როდესაც იგი დამოკიდებულია სამომავლო და უცნობ მოვლენაზე იმით, რომ ან გარიგების შესრულების გადადება ხდება მის დადგომამდე, ან/და გარიგების შეწყვეტა - ამ მოვლენის დადგომისთანავე.^{48,49}

⁴⁵ იხ. Султанова Т.И., правовая природа алеаторных договоров и их место в системе гражданско-правовых договоров, Вестник Пермского университета. Юридические науки, N3/2010, ст. 142.

⁴⁶ როგორც თავდაპირველი, ისე დღევანდელი მდგომარეობით ხელშეკრულების ალეატორული ბუნების მთავარ არსს წარმოადგენს ალეა: იღბალი (შანსი), რისკი, განუსაზღვრელობა - იხ.: Clinton W. Shinn, THE ALEATORY CONTRACT IN THE LOUISIANA CIVIL CODE: A DISTINCTION WITHOUT A DIFFERENCE, 1987, p. 296-297. - მით.: ტაბალუა ბ., დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალეატორული ბუნების გავლენა, სასერმინარო ნაშრომი, 2014 წ., გვ. 5, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.library.court.ge.

⁴⁷ იხ. იქვე.

⁴⁸ იურიდიულ ლიტერატურაში ოდითგანვე მიუთითებდნენ დაზღვევის ხელშეკრულების ალეატორული ბუნების შესახებ. დაზღვევის ხელშეკრულება ხშირ შემთხვევაში პირობით ხელშეკრულებად განიხილებოდა. Emerigon, A Treatise on Insurances, Translated by Samuel Meredith, 1850, p. 11. მისი პირობითობა, არსებული მოსაზრებით, მზღვევლის ანაზღაურების ვალდებულების პირობით ხასიათში გამოიხატებოდა. მზღვევლის ვალდებულება — გადაიხადოს ანაზღაურება დამზღვევის სასარგებლოდ - დგება მხოლოდ სადაზღვევო რისკის რეალიზაციისა და დამზღვევისათვის ზიანის გამოწვევის

გარიგების შესრულების გადადების ელემენტის შემცველობით დაზღვევის ხელშეკრულება მსგავსებას ავლენს პირობით გარიგებასთან. მზღვეველს ანაზღაურების ვალდებულება მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევით გამოწვეული ზიანის დადგომის შემთხვევაში ეკისრება. რაც შეეხება პირობითი გარიგების მეორე ელემენტს - გარიგების შეწყვეტას - სადაზღვევო შემთხვევის დადგომა არ იწვევს ხელშეკრულების შეწყვეტას. სადაზღვევო პერიოდის დასაწყისი და დასასრული, როგორც წესი, არ არის დაკავშირებული სადაზღვევო რისკის რეალიზაციასთან. შესაძლებელია სადაზღვევო პერიოდი სადაზღვევო რისკის რეალიზაციის გარეშეც ამოიწუროს.⁵⁰

საბოლოოდ, პირობითი გარიგებისგან განსხვავებით, დაზღვევის ხელშეკრულების მხარეთა უფლება-მოვალეობების წარმოშობა და განხორციელება არ არის დამოკიდებული სადაზღვევო შემთხვევის დადგომაზე. სადაზღვევო რისკის რეალიზაცია მზღვეველის ვალდებულების წარმოშობის აუცილებელი წინაპირობაა და არა დაზღვევის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების განმსაზღვრელი ერთადერთი ნიშანი.⁵¹

პირობითი გარიგებებისგან დაზღვევის გამიჯვნისას ერთ-ერთ განმასხვავებელ ნიშნად სადაზღვევო ინტერესი განიხილება. იურიდიულ ლიტერატურაში აღნიშნავენ, რომ დაზღვევის ხელშეკრულებაში სადაზღვევო ინტერესის არსებობა გამორიცხავს მის მიკუთვნებას ალეატორული გარიგებებისადმი.⁵²

შესაბამისად, სწორედ აღნიშნულის გამო, დაზღვევის პოლისი პირობით ხელშეკრულებად მიიჩნეოდა. ამასთან, საყოველთაოდ იყო გაზიარებული აზრი იმის შესახებ, რომ მზღვეველის ვალდებულების დადგომის პირობითობა გავლენას არ ახდენდა ხელშეკრულების იურიდიულ ბუნებაზე, მის სამართლებრივად მავალდებულებელ ხასიათზე. მზღვეველს არ ჰქონდა უფლება, სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას უარი ეთქვა აღნიშნული ვალდებულების შესრულებაზე. იხ. Garner (Editor), Black's Law Dictionary, Eight Edition, Thomson West, 2004, p. 342. 12. - მით.: ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 2 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

⁴⁹ იხ. იქვე.

⁵⁰ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გვ. 108.

⁵¹ იხ. ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 3 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

⁵² ალეატორული ხელშეკრულებების Black's Law-სეულ განმარტებაში დაზღვევაც ფიგურირებს. Garner (Editor), Black's Law Dictionary, Eight Edition, Thomson West, 2004, p.

სადაზღვევო ხელშეკრულება (მისი ორმხრივად მავალდებულებელი ძალით) მძაფრად აყენებს საკითხს მასში შემხვედრი შესრულებების გაცვლის ელემენტის არსებობაზე - სადაზღვევო პრემია გადახდილია, თუმცა სადაზღვევო შემთხვევა შეიძლება არ დადგეს. შესაბამისად, შეუძლებელია სადაზღვევო ანაზღაურების მიღების უფლების რეალიზაცია. ანუ, სადაზღვევო გარიგების შესრულებამ თავისი სამართლებრივი შედეგით შეიძლება არ მიგვიყვანოს ამა თუ იმ ქონებრივი სიკეთეების გაცვლამდე და გარდა ამისა, ეს სამართლებრივი შედეგი დამოკიდებულია განსაზღვრული მოვლენის (სადაზღვევო შემთხვევის) დადგომა არდადგომაზე.⁵³

ასევე რისკავს დამზღვევი - მან არ იცის მიიღებს თუ არა სადაზღვევო თანხას (დადგება თუ არა სადაზღვევო შემთხვევა), და თუ მიიღებს როგორი იქნება სადაზღვევო თანხის და გადახდილი პრემიის თანაფარდობა.⁵⁴

ალეატორული ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მისი დადების მომენტში შეუძლებელია ზუსტად გამოთვლილ იქნეს სარგებელი, შესაძლო ზარალი, ხელშეკრულების შესრულების შემთხვევაში, რამდენადაც, ხელშეკრულების პირობების თანახმად, ისინი დამოკიდებული არიან უცნობ მოვლენაზე.⁵⁵

დაზღვევის ხელშეკრულების ალეატორული ბუნებიდან გამომდინარეობს, რომ დაზღვევის საგანს წარმოადგენს რისკის გადაცემა დამზღვევის მხრიდან მზღვეველზე (აღნიშნულ თეორიას შეიძლება ვუწოდოთ რისკის თეორია). ასეთ შემთხვევაში, სადაზღვევო ხელშეკრულების ძალაში შესვლის მომენტიდან, მზღვეველი განსაზღვრული ფასის სანაცვლოდ (სადაზღვევო პრემია) ენაცვლება დამზღვევს გადაცემული რისკის თვალსაზრისით, ატარებს მას დამზღვევის ნაცვლად. შესაბამისად, მზღვეველის მხრიდან ხელშეკრულების შესრულება მოიცავს არა მხოლოდ სადაზღვევო შემთხვევის დადგომისას სადაზღვევო თანხის გადახდას,

342. თუმცადა, იქვე სადაზღვევო ინტერესის შემცველობით დაზღვევა მკვეთრად ემიჯნება ალეატორულ ხელშეკრულებებს (მინიშნებაა თამაშობასა და სანადლეოზე), იხ. იქვე, 829. - მით.: ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 3 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

⁵³ იხ. Шербаков Н.Б. Основные подходы к определению юридической природы алеаторных сделок, "Вестник гражданского права", 2006, N 1, ст. 71.

⁵⁴ იხ. იქვე გვ. 75.

⁵⁵ იხ. Васильев Е.А., Комаров А.С. (ред.), ГРАЖДАНСКОЕ И ТОРГОВОЕ ПРАВО ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН, Т. I, ИЗД. "МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ", М., 2004, ст. 498-499.

არამედ მზღვეველის მიერ რისკის ტარებას სადაზღვევო ურთიერთობის დაწყების მომენტიდან.⁵⁶

სწორედ ამაში ვლინდება დაზღვევის ხელშეკრულების ალეატორული ბუნება, რომელიც უშუალოდ მიმართულია მხარეებს შორის რისკების განაწილებაზე. იმის გათვალისწინებით, რომ მზღვეველის ვალდებულებას წარმოადგენს დამზღვევის ნაცვლად რისკის ტარება, სადაზღვევო შემთხვევის არ დადგომა არანაირად არ იმოქმედებს სადაზღვევო პრემიის ბედზე, რადგან მზღვეველმა თავის თავზე აიღო რისკი და არა უპირობო ვალდებულება სადაზღვევო თანხის გადახდაზე.⁵⁷

შესაბამისად, დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ დაზღვევის ხელშეკრულება, როგორც ალეატორული გარიგების ნაირსახეობა შეიძლება განვსაზღვროთ, როგორც გარიგება, რომელიც უშუალოდ მიმართულია დამზღვევისაგან მზღვეველზე რისკის გადაცემისკენ.⁵⁸

დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას დამზღვევს გააჩნია ერთადერთი მიზანი - დაიცვას ყველა სიკეთე რაც დაკავშირებულია დაზღვეულ ქონებასთან, ანუ, სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, დაზღვევის ხელშეკრულების საფუძველზე, დამზღვევი გადასცემს მზღვეველს ხელშეკრულებით განსაზღვრულ რისკებს. იმ შემთხვევაშიც კი, თუ არ დადგება სადაზღვევო შემთხვევა, მზღვეველი უწევს დამზღვევს მომსახურებას, რაც გამოიხატება დამზღვევის რისკის ტარებაში. ამდენად, რადგან ვალდებულება გადაიხადოს სადაზღვევო ანაზღაურება, წარმოადგენს შედეგს ვალდებულებისა ატაროს დამზღვევის ნაცვლად რისკი, ამიტომ შესაძლო უთანასწორობა შესრულებებს შორის წარმოადგენს შედეგს იმისას, რომ გარიგების მთავარ ობიექტს წარმოადგენს ისეთი ალბათობითი კატეგორია, როგორიც არის რისკი.⁵⁹

ზოგადად, სადაზღვევო საქმიანობა წარმოადგენს რისკის შეფასებისა და მართვის ხელოვნებას, რომლის მეშვეობითაც სადაზღვევო კომპანია აზღვევს პირებს, რის ხარჯზეც მოიზიდავს პრემიას, რომელიც წარმოადგენს სადაზღვევო კომპანიის აქტივს, ხოლო დაზღვევა დაზღვეულისათვის

⁵⁶ იხ. Щербаков Н.Б. Основные подходы к определению юридической природы алеаторных сделок, "Вестник гражданского права", 2006, N 1, ст. 80.

⁵⁷ იხ. იქვე გვ. 80.

⁵⁸ იხ. Щербаков Н.Б. Основные подходы к определению юридической природы алеаторных сделок, "Вестник гражданского права", 2006, N 1, ст. 80.

⁵⁹ იხ. იქვე გვ. 80.

წარმოადგენს მყარ გარანტიას, რომელიც მათ იცავს მოულოდნელი ხარჯებისაგან და ეხმარება მათ ფინანსური პრობლემების დაძლევაში.

თავისთავად, რისკი შეიძლება იყოს წინასწარ განჭვრეტადი, მაგრამ მისი რეალიზაციის (სადაზღვევო შემთხვევის დადგომის) ალბათობა უნდა იყოს განუჭვრეტელი და თავისუფალი მხარეთა გავლენისაგან. რისკი რომ სადაზღვევოდ ჩაითვალოს (დაზღვევადი რისკი), ის გარკვეულ კრიტერიუმებს უნდა აკმაყოფილებდეს. რისკი არ უნდა იყოს იმ ხარისხით წინასწარ განუჭვრეტელი, რომ შეუძლებელი გახდეს მისი შეფასება სადაზღვევო კომპანიის მიერ.⁶⁰ დაუზღვეველი რისკის მაგალითად ჯანმრთელობის დაზღვევის პოლისებში განიხილება ე.წ. „ექსპერიმენტული მკურნალობა“, რადგან მზღვეველის მიერ შეუძლებელია ასეთი ტიპის მკურნალობის ხარჯების ზუსტი კალკულაციის წინასწარ დადგენა.⁶¹

სადაზღვევო რისკის შეფასებისათვის პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი, თუმცა მათგან ყველაზე გავრცელებულია ინდივიდუალური შეფასების, საშუალო სიდიდის და პროცენტების მეთოდი.⁶² სადაზღვევო რისკის განსაზღვრა ხდება თითოეული ვალდებულებისათვის ცალცალკე, კანონის ან გარიგების საფუძველზე. სადაზღვევო რისკის სწორად შეფასება, როგორც დამზღვევისათვის და ასევე დაზღვეულისათვის მეტად მნიშვნელოვანია. სწორედ ამიტომ, დაზღვევის ხელშეკრულების აუცილებელ პირობას წარმოადგენს როგორც დაზღვევის ინტერესის ზუსტი განსაზღვრა, ისე დაზღვევის რისკის კონკრეტული მითითება.⁶³

დაზღვევის ხელშეკრულება, ისევე როგორც ყველა სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობა ემყარება კეთილსინდისიერების პრინციპს და ურთიერთნდობას. ნდობის პრინციპის ბოროტად გამოყენება დაზღვევის ხელშეკრულების დადებისას იწვევს ამგვარი ხელშეკრულების ანულირებას

⁶⁰ იხ. Garner (Editor), Black's Law Dictionary, Eight Edition, Thomson West, 2004, p. 1353. - მით.: ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 7 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

⁶¹ იხ. ირემაშვილი ქ., საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, გვ. 7 - ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge.

⁶² იხ. Шахов В.В., – Страхование. Москва 2003, ст. 39.

⁶³ იხ. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II, გვ. 108.

და მისგან გამომდინარე უფლებები და მოვალეობები საერთოდ არ წარმოიშობა.

კანონმდებლობის თანახმად, დამზღვევი ვალდებულია მზღვეველს აცნობოს მისთვის ცნობილი ყველა გარემოება, რომელიც სადაზღვევო კომპანიას საშუალებას მისცემს შეაფასოს სადაზღვევო რისკის ოდენობა (სსკ-ის 808-ე მუხლი). აღნიშნული სახის დათქმები წარმოადგენს გარკვეულ დაზღვევას თავად სადაზღვევო კომპანიებისათვის, რომ მათ მაქსიმალურად გაზომვადი გახადონ ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესაძლო რისკები და მაქსიმალურად შეამცირონ დაზღვევის ხელშეკრულების სარისკო ხასიათი.

დასკვნა

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ სადაზღვევო ურთიერთობის უმთავრესი ამოცანა რისკების მართვა და შემცირებაა, რის გამოც თავად დაზღვევის ხელშეკრულება წარმოადგენს რისკის შემცველ ხელშეკრულებას, როგორც მზღვეველისთვის და ასევე დამზღვევისთვისაც, რადგან შესაძლოა ხელშეკრულების არსებობის მანძილზე სადაზღვევო შემთხვევა არ დადგეს, რის გამოც მზღვეველის მიერ გადახდილი სადაზღვევო პრემია დარჩება აუნაზღაურებელ ხარჯად ან შეიძლება დაზღვევის შემთხვევის გამო დამდგარი ზიანი არ იყოს ჯამში გადახდილი სადაზღვევო პრემიის პროპორციული. შესაბამისად, დაზღვევის ხელშეკრულების ზემოთ მითითებული სარისკო ხასიათი აისახება და გავლენას ახდენს სადაზღვევო ხელშეკრულების პირობებზეც, რაც გამოიხატება იმაში, რომ სადაზღვევო ხელშეკრულება წარმოადგენს იმგვარი ტიპის ხელშეკრულებას, რომელშიც მკაცრად და დეტალურად უნდა იყოს გაწერილი პირობები, კერძოდ, დაზღვევის ინტერესი, ობიექტი, ზუსტად უნდა განისაზღვროს სადაზღვევო რისკი, სადაზღვევო თანხა, საზღაურის გამომანგარიშების წესი, სადაზღვევო პრემიის ოდენობა.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირემაშვილი ქეთევან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, 2016 წ., მუხლი 799, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.gccc.ge
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მეოთხე, ვალდებულებითი სამართალი, კერძო ნაწილი, ტომი II

3. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, ვალდებულებითი სამართალი, ზოგადი ნაწილი, ტომი II
4. ზოიძე ბესარიონ, ქართული ვალდებულებითი სამართლის სისტემა და პრინციპები, ჟურ. „ქართული სამართლის მიმოხილვა“, მესამე-მეოთხე კვარტალი, გვ. 113-114
5. ცისკაძე მარიამ, ნებაყოფლობითი დაზღვევის სამართლებრივი რეგულირება, გამომცემლობა „მერიდიანი“, თბილისი 2001
6. ავტორთა კოლექტივი, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი 2014, გამომცემლობა სამართალი
7. ჭეჭელაშვილი ზურაბ, სახელშეკრულებო სამართალი, გამომცემლობა „ზონა კაუზა“, თბილისი 2014
8. შათირიშვილი ჯემალ, კაკაშვილი ნატო, სადაზღვევო საქმე, მე-2 გამოცემა, თბილისი 2012
9. ირემაშვილი ქეთევან, სადაზღვევო ინტერესის დოქტრინა და მის მიმართ გამოთქმული კრიტიკის ანალიზი, სამართლის ჟურნალი, N2, 2013
10. ქეცბაია ეკატერინე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“, N4(43), 2014
11. გვარამია ლ., სამოქალაქო პასუხისმგებლობის დაზღვევის ხელშეკრულება, სადისერტაციო ნაშრომი, თსუ, თბილისი 2002, გვ. 18
12. ტაბაღუა ბ., დაზღვევის ხელშეკრულებიდან გასვლის, ხელშეკრულების მოშლის, შეწყვეტის და ბათილობის სამართლებრივ შედეგებზე ამ ხელშეკრულების ალტერნატიული ბუნების გავლენა, სასერმინარო ნაშრომი, 2014 წ., გვ. 5, ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე: www.library.court.ge
13. დაწყვეტილება (1/2/106) საქმეზე: „საქართველოს მოქალაქეები – ირაკლი საქართველოს საკნოსტიტუციო სასამართლოს 2001 წლის 31 ოქტომბრის გაბერიაშვილი და ვიქტორ ინაშვილი საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“ - http://constcourt.ge/index.php?lang_id=GEO&sec_id=22
14. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2003 წლის 5 მარტის N 3კ-310-03 განჩინება.
15. Шахов В.В., Введение в страхование, 2000
16. Белых В.С. Страхование право России, Изд. „НОРМА“, Москва, 2009
17. Фогельсон Ю. Б. Страхование право, Теоретические основы и практика применения. Изд. „НОРМА“, Москва, 2009
18. Султанова Т.И., правовая природа алеаторных договоров и их место в системе гражданско-правовых договоров, Вестник Пермского университета. Юридические науки, N3/2010
19. Щербаков Н.Б. Основные подходы к определению юридической природы алеаторных сделок, "Вестник гражданского права", 2006, N 1

20.Васильев Е.А., Комаров А.С. (ред.), ГРАЖДАНСКОЕ И ТОРГОВОЕ ПРАВО ЗАРУБЕЖНЫХ СТРАН, Т. I, ИЗД. “МЕЖДУНАРОДНЫЕ ОТНОШЕНИЯ”, М., 2004

21.www.utikafirst.com

22.<http://www.lloyds.com/lloyds/about-us/history>

რეზიუმე

დაზღვევის ურთიერთობის არსის უკეთ გასაგებად მნიშვნელოვანია დადგინდეს უშუალოდ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება, რაზეც დიდ გავლენას ახდენს აღნიშნული ურთიერთობის ალეატორული ბუნება და მისი სარისკო ხასიათი. სტატიაში განხილულია ის სამართლებრივი ასპექტები რაც განაპირობებს დაზღვევის ხელშეკრულების ალეატორულ ხასიათს და ასევე ის ფაქტორები თუ რა გავლენას ახდენს მისი ალეატორული ბუნება ხელშეკრულების არსებით პირობებზე.

სახელშეკრულებო თავისუფლება და მისი საზღვრები ქართულ კერძო სამართალში

მარიამ გუგუტიშვილი

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის
სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის მაგისტრანტი

შესავალი

„კერძო სამართალი, არსებითად, არის დისპოზიციური სამართალი. დისპოზიციური სამართალი მოქმედებს სუბსიდიურად, როდესაც მონაწილე მხარეები თავიანთი ნების შესაბამისად არეგულირებენ ამა თუ იმ ურთიერთობას. დისპოზიციური სამართალი ეფუძნება ინდივიდუალური ავტონომიის იდეას⁶⁴

ქართულ კერძო სამართალში მოქმედი დისპოზიციურობის პრინციპი მოქმედების თავისუფლებას ანიჭებს სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს პრინციპს, სახელშეკრულებო თავისუფლებას, რაც გულისხმობს კერძო და საჯარო პირთა თავისუფლებას დადონ ან არ დადონ ხელშეკრულებები, თავად აირჩიონ კონტრაქტენტი, თავადვე შეთანხმდნენ ხელშეკრულების შინაარსზე, ფორმაზე. ამასთან, წარმოუდგენელი იქნებოდა, მხარეებს ხელშეკრულების დადებისას სრული თავისუფლებით ესარგებლათ. ასეთი მიდგომა აუცილებლად გამოიწვევდა ამორალური გარიგებების დადებას, „მლიერი“ მხარის მიერ „სუსტის“ დაჩაგვრას (მაგ.: როდესაც ხელშეკრულების ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე), ასევე, სახელმწიფოს მხრიდან ხელშეკრულების მარეგულირებელი ნორმების შემოღების შეუძლებელობას. ყველაფერი ამის თავიდან აცილების მიზნით, აღნიშნული პრინციპის მიმართ მოქმედებს გარკვეული შეზღუდვები.

სტატის მიზანია, უპირველეს ყოვლისა, განმარტოს ხელშეკრულების თავისუფლების ცნება და განიხილოს მისი მოქმედების ფარგლები ქართულ კერძო სამართალში. სტატიაში, ასევე, განხილულია საქართველოს უზენაესი

⁶⁴ ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. 2004, 209.

სასამართლოს პრაქტიკიდან მოყვანილი განმარტებები სახელშეკრულებო თავისუფლებასთან დაკავშირებით.

1. ხელშეკრულების ცნება და სახელშეკრულებო სამართლის ისტორიული მიმოხილვა

დღევანდელი სამოქალაქო სამართალი წარმოდგენილია ხელშეკრულების გარეშე. ხელშეკრულება იდება ყველგან, ყოველ წუთს, როგორც დიდ კორპორაციებს შორის, როდესაც საქმე მილიონობით აშშ დოლარს ეხება, ისე ქუჩის პატარა მაღაზიაში პურის შეძენისას. საქართველოს სამოქალაქო კოდექსში (შემდგომ სსკ) ჩამოთვლილია ხელშეკრულებების ყველაზე გავრცელებული ტიპები, ესენია: ნასყიდობის, გაცვლის, ჩუქების, იჯარის, ქირავნობის ხელშეკრულებები და სხვა. მოცემულ შემთხვევაში არ მოქმედებს ე.წ. *numerus clausus* („დახურული რიცხვი“) პრინციპი. კანონმდებელი ხელშეკრულების ტიპების ჩამოთვლასთან ერთად მხარეებს ანიჭებს თავისუფლებას დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც სსკ-ით პირდაპირ არ არის გათვალისწინებული, თუმცა, ამავდროულად არ ეწინააღმდეგება კანონს.

ხელშეკრულების საკანონმდებლო დეფინიცია ქართულ საკანონმდებლო სივრცეში არ არსებობს, თუმცა იგი განმარტებულია არაერთი ავტორის მიერ. რომის სამართალში ხელშეკრულება მოიაზრებოდა, როგორც ორი ან მეტი პირის ისეთი შეთანხმება, რომელიც მათ შორის ვალდებულებას წარმოშობდა.⁶⁵ ხელშეკრულების განმარტება დიდად დღესაც არ შეცვლილა. ის შეიძლება დაიდოს როგორც ორ, ისე რამოდენიმე პირს შორის თუ არსებობს მათი ურთიერთმფარავი ნება (გამოხატული ოფერტისა და აქცეპტის სახით). ხელშეკრულების დასადებად საჭიროა მხარეთა შეთანხმება, ანუ, სხვაგვარად, ხელშეკრულება დადებულად ჩაითვლება მხოლოდ მაშინ, როცა მხარეები შეთანხმდებიან მის ყველა არსებით პირობაზე (სსკ-ის 327-ე მუხლი). თუ, ერთ შემთხვევაში, აშკარაა ხელშეკრულების რომელი პირობაა არსებითია, მაგ: ავტომანქანის ნასყიდობის დროს - ფასი, სხვა შემთხვევაში პირობა არსებითი შეიძლება გახდეს თავად მხარის ნება-სურვილიდან გამომდინარე მაგ: ავტომანქანის ფერი.

⁶⁵ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2014, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015.

სახელშეკრულებო სამართალი ჯერ კიდევ ანტიკურ ხანაში იღებს სათავეს. „რომის სამართალი ყველაზე ინოვაციურ და შემდგომში, დასავლეთის სხადასხვა ქვეყნების მიერ, ყველაზე ხშირად გადმოღებულ სამართალს წარმოადგენს. სახელშეკრულებო სამართალი მისი ყველაზე ორიგინალური და მომხიბლავი ნაწილია.“⁶⁶ გარიგებები პირთა შორის უხსოვარი დროიდან იღებოდა. პირველად, ალბათ, ჯერ კიდევ თემური წყობილების დროს მცხოვრებმა ადამიანებმა გაცვალეს ერთმანეთში რაიმე ნივთები და ამით პირველი ხელშეკრულება დადეს. ხელშეკრულებებს შორის ყველაზე გავრცელებული ნასყიდობაა. ჯერ კიდევ რომის სამართლის კონტრაქტების კლასიკურ სისტემაში მას ძირითადი ადგილი ეკავა. თუ თვალს გადავავლებთ სამართლებრივი სისტემების განვითარების ისტორიას, დავინახავთ, რომ მრავალი ხელშეკრულება აღმოცენდა და განვითარდა ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე, უფრო მეტიც, ნასყიდობის ხელშეკრულებამ ხელი შეუწყო სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში სახელშეკრულებო სამართლის ფორმირებას.⁶⁷

ამგვარად, სახელშეკრულებო სამართალი საუკუნეებს ითვლის და, დღესაც, ჯერ კიდევ რომის იმპერიის დროს ჩამოყალიბებულ ძირითად პრინციპებზე დგას.

2. სახელშეკრულებო თავისუფლება

სსკ-ის 319-ე მუხლით განმტკიცებულია ხელშეკრულების თავისუფლება. ამ მუხლის მიხედვით, კერძო სამართლის სუბიექტებს შეუძლიათ კანონის ფარგლებში თავისუფლად დადონ ხელშეკრულებები და განსაზღვრონ ამ ხელშეკრულებათა შინაარსი. მათ შეუძლიათ დადონ ისეთი ხელშეკრულებებიც, რომლებიც კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არ ეწინააღმდეგება მას.

საქართველოს უზენაესმა სასამართლომ საქმე N ას-772-1045-05 ის განხილვისას იხელმძღვანელა სსკ-ის 319-ე მუხლით. დავის ფაქტობრივი გარემოებები: სარგებლობისათვის მოსარჩელებს გადაცემული ჰქონდათ სეიფი. სეიფი ერთდროულად იღებოდა ორი გასაღებით, რომელთაგან ერთი ინახებოდა მხარეებთან. თუ რა რაოდენობის თანხასა და ძვირფასეულობას

⁶⁶ Alan Watson, *The Evolution of Law: The Roman System of Contracts*, 1984 .

⁶⁷ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, „მერიდიანი“.

ინახავდა შემნახავი მხარე სეიფში, სეიფის გამჭირავებელს არ უთანხმდებოდა. 2002 წლის 1 აგვისტოს მოსარჩელებმა განაცხადეს შენახული თანხის დაკარგვის თაობაზე, თუმცა სეიფისა და საკეტის მთლიანობა დაცული იყო. მოპასუხე მიუთითებდა, რომ მან ხელშეკრულებით მოსარჩელებს მიაქირავა სადეპოზიტო სეიფი, რომელშიც მათ შეეძლოთ შეენახათ განუსაზღვრელი რაოდენობის ფული და ძვირფასეულობა, რომელიც დაცული იქნებოდა ბანკის სეიფში იმდენი ხნის განმავლობაში, ვიდრე დამქირავებლები შეძლებდნენ ქირის გადახდას. ბანკი მხოლოდ ერთადერთ პასუხისმგებლობას იღებდა თავის თავზე, რომ კლიენტის მიერ დაქირავებული სეიფი შენახული და დაცული იქნებოდა ნებისმიერი მექანიკური დაზიანებებისაგან. სეიფის მექანიკური დაზიანებების შემთხვევაში ბანკი ვალდებულებას იღებდა სეიფში დაცული ფულისა თუ ძვირფასეულობის ანაზღაურებაზე. საკასაციო სასამართლომ მიუთითა სსკ-ის 319-ე მუხლით განმტკიცებულ სახელშეკრულებო თავისუფლებაზე და განმარტა, რომ მხარეებს უფლება აქვთ თავისუფლად და დამოუკიდებლად გამოხატონ თავიანთი ნამდვილი ნება ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრისას. ეს უფლება გულისხმობდა იმასაც, რომ მხარეებს შეუძლიათ, დადონ სამოქალაქო კოდექსით გაუთვალისწინებელი შინაარსის ხელშეკრულებები. რადგან მსგავსი შინაარსის ხელშეკრულება სსკ-ით გათვალისწინებული არ არის, ასეთ დროს გამოიყენება ის ნორმები, რომლებიც ყველაზე მეტად შეესაბამება საქმის ფაქტობრივ გარემოებებს. ამგვარად, საკასაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ურთიერთობის დარეგულირებისას გამოყენებული უნდა ყოფილიყო მიბარების ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმები, რადგან საქმის გარემოებები ყველაზე მეტად ამ ურთიერთობას შეესაბამებოდა.

ამგვარად, ხელშეკრულების თავისუფლება მოიცავს არა მარტო ხელშეკრულების დადების თავისუფლებას - დავდოთ თუ არა, ასევე, ვისთან დავდოთ ხელშეკრულება - არამედ თავად ხელშეკრულების შინაარსის განსაზღვრის თავისუფლებასაც. თავად მხარეები ირჩევენ, თუ რა ტიპის ხელშეკრულება დადონ, რა პირობებზე შეთანხმდნენ, რა იქნება მათთვის არსებითი პირობა და რა არა, რა ფორმით დადონ ხელშეკრულება: წერილობითი, ზეპირი, თუ სანოტარო წესით და ა.შ.

საბაზრო ეკონომიკის ნორმალური განვითარებისთვის საციცოხლოდ მნიშვნელოვანია სახელშეკრულებო თავისუფლების უზრუნველყოფა. ბუნებრივია, რომ სახელშეკრულებო სამართლის წარმოშობას წინ უძღოდა

პირთა შორის სხვადასხვა ტიპის ხელშეკრულებების დადება, მაგ: ნასყიდობა, გაცვლა, ჩუქება და სხვა. მსგავსი ურთიერთობები ადამიანთა შორის ჯერ კიდევ თემური წყობილების დროს არსებობდა და, სწორედ, სახელშეკრულებო თავისუფლებისა და ადამიანის უსაზღვრო ფანტაზიის დამსახურებით განვითარდა და ჩამოყალიბდა დღეისათვის ცნობილი ხელშეკრულების ტიპები. ხელშეკრულებები იქმნება, ვითარდება და იცვლება დროის შესაბამისად. ამგვარად, სახელშეკრულებო თავისუფლება თავის როლს ყოველთვის პირნათლად ასრულებს - უზრუნველყოფს როგორც საბაზრო ეკონომიკის, ისე სახელშეკრულებო სამართლის განვითარებას.

ხელშეკრულების თავისუფლების ძირითად კონსტიტუციურ საფუძვლად, ისევე როგორც სამართლებრივ ურთიერთობების თითქმის ყველა ეტაპის საფუძვლად, შეგვიძლია მივიჩნიოთ ადამიანის თავისუფლების უფლება.⁶⁸ არანაკლებ მნიშვნელოვანია პირთა თანასწორობის უფლება სახელშეკრულებო თავისუფლების განხილვისას. თუ სახელშეკრულებო ურთიერთობებში დაცული არ იქნება პირთა თანასწორობის საკითხი, მაშინ შეუძლებელი იქნება პიროვნების თავისუფალი განვითარების უფლების რეალიზაცია.⁶⁹ ამავდროულად, ეს თავისუფლება არ შეიძლება იყოს აბსოლუტური. ერთი შეხედვით, გაუმართლებელია, სახელმწიფოს მხრიდან პირთა კერძო ხასიათის ურთიერთობაში ჩარევა და იდეალურ სახელმწიფოში იდეალური მოსახლეობით, ასეც იქნებოდა. თუმცა, სრული სახელშეკრულებო თავისუფლების მინიჭება იმ იმედით, რომ პირები მას მხოლოდ კეთილსინდისიერად და კანონის ფარგლებში გამოიყენებენ, უბრალოდ უსაფუძვლო და არაგონივრულია.

3. სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის კანონით გათვალისწინებული შემთხვევები

სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპის მნიშვნელობიდან გამომდინარე, მისი საზღვრების დადგენისას კანონმდებელმა დიდი სიფრთხილე გამოიჩინა. შეზღუდვის დაწესება მხოლოდ მაშინ იქნება გამართლებული, თუ დაცული სიკეთის მნიშვნელობა მაღალია, მაგ.: სსკ-ის 183-ე მუხლის მიხედვით, უძრავი ნივთის შესაძენად აუცილებელია

⁶⁸ ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2014, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015.

⁶⁹ იქვე.

გარიგების წერილობითი ფორმით დადება და შემდგომში ამ გარიგებით განსაზღვრული საკუთრების უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. თუ მხარეები გამოიყენებენ ზეპირ ფორმას, გარიგება იქნება ბათილი. რადგან უძრავი ქონების სოციალური მნიშვნელობა ბევრად მაღალია ვიდრე მოძრავის, რასაც მისი საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულოობაც მოწმობს, კანონდებელი მისი დაცვის მიზნით ადგენს იმპერატიულ ნორმებს. მსგავსი იმპერატიული ნორმები (მაგ.: მხარდამჭერის მიმღების მიერ დადებული გარიგების მარეგულირებელი ნორმები, მოტყუებით დადებული გარიგების ბათილობა და სხვა) სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ შემთხვევას წარმოადგენს, თუმცა, როგორც აღვნიშნე, მათი მიზნებიდან გამომდინარე, ასეთი ნორმების არსებობა სრულად გამართლებულია და სახელმწიფოს მხრიდან უსამართლო ჩარევად არ აღიქმება.

ერთ-ერთი ასეთი იმპერატიული ნორმა სსკ-ის 54-ე მუხლი, რომლის მიხედვით, ბათილია გარიგება, რომელიც არღვევს კანონით დადგენილ წესსა და აკრძალვებს, ეწინააღმდეგება საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. სასამართლოს, როგორც წესი, არ შეუძლია ხელშეკრულების ცალკეული პირობები შეაფასოს როგორც კონტრაქტისთვის „სამართლიანი“ და „უსამართლო“. სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპით უზრუნველყოფილია მხარისთვის არჩევის თავისუფლება, დადოს ან არ დადოს ხელშეკრულება და დათანხმდეს მისთვის მისაღებ პირობებზე. გამონაკლის შემთხვევას წარმოადგენს სსკ-ის 54-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესი. თუ გარიგება არის მართლსაწინააღმდეგო და ამორალური, რაც ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სასამართლოს მიერ უნდა შეფასდეს, მოსამართლეს შეუძლია იმსჯელოს ხელშეკრულების ცალკეულ პირობებზე და ბათილად ცნოს ისინი თუკი ჩათვლის, რომ 54-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევა სახეზეა, ანუ გარიგება ეწინააღმდეგება კანონს, საჯარო წესრიგს ან ზნეობრივ ნორმებს. მაგ.: თუ მხარეთა შორის დაიდო ხელშეკრულება შვილის გაყიდვის თაობაზე, ასეთი ხელშეკრულება იქნება კანონსაწინააღმდეგო და ამორალური, შესაბამისად იქნება ბათილი.

სსკ-ის 319-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთ მხარეს უკავია დომინირებული მდგომარეობა ბაზარზე, მაშინ საქმიანობის ამ სფეროში მას ეკისრება ხელშეკრულების დადების ვალდებულება. მას არ შეუძლია კონტრაქტს უსაფუძვლოდ შესთავაზოს ხელშეკრულების არათანაბარი პირობები. მაშასადამე, როდესაც პირი

სარგებლობს ბაზარზე დომინანტური მდგომარეობით, რათა არ მოხდეს უფრო „სუსტი“ მხარის დაჩაგვრა და მისთვის გამოუვალი მდგომარეობის შექმნა, კანონმდებელი დასაშვებად მიიჩნევს სახელშეკრულებო თავისუფლების იმგვარად შეზღუდვას, რომ აიძულოს გაბატონებული მდგომარეობის მქონე მომავალი კონტრაქტენტი დადოს ხელშეკრულება (მაგ.: თუ გაზის მიმწოდებელ კომპანიას დომინანტური მდგომარეობა უკავია ბაზარზე და უარს აცხადებს პირთან ხელშეკრულების დადებაზე). მსგავსი დანაწესით, ამკარაა, რომ სახელწიფო ერევა სახელშეკრულებო თავისუფლებაში, თუმცა გამართლებულია იმით, რომ იგი იცავს „სუსტი“ მხარის ინტერესებს. ასეთ დროს, დომინანტური მდგომარეობის მქონე მხარე არ საჭიროებს სახელმწიფოს მხრიდან რაიმე დაცვას.

სახელშეკრულებო თავისუფლების შეზღუდვის ერთ-ერთ სახედ შეიძლება განხილული იყოს სახელმწიფო ნებართვებისა და ლიცენზიების არსებობა. კანონით დადგენილ შემთხვევებში მხოლოდ სახელმწიფო ლიცენზიის ან ნებართვის მიღების შემდეგაა შესაძლებელი მხარეთა შორის დაიდოს ხელშეკრულება, თუმცა აღნიშნული შემთხვევაც, უსაფრთხოების უზრუნველყოფის მიზნით, არ წარმოადგენს სახელშეკრულებო თავისუფლების გაუმართლებელ შეზღუდვას.

ამგვარად, სამოქალაქო სამართალში მოქმედი ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი პრინციპი, სახელშეკრულებო თავისუფლება, არ არის აბსოლუტური, თუმცა მისი შეზღუდვა მხოლოდ კანონის საფუძველზე და საკმარისი მიზეზის არსებობის დროს არის შესაძლებელი.

4. ხელშეკრულებისთვის „თვალის გადავლების“ ტრადიცია საქართველოში

მრავალსაუკუნოვანი ტრადიციების გვერდით საქართველოში ერთმა ახალმა ტრადიციამაც დაიმკვიდრა თავი, რომელსაც თითქმის ყველა ქართველი ერთსულოვნად იცავს - ხელშეკრულების პირობებისთვის „თვალის გადავლება“ ან, სულაც, მათი სრული იგნორი. დღეისათვის, ხელშეკრულებიდან წარმოშობილი დავების უმეტესობას ერთი რამ აქვს საერთო - მხარე, რომელიც ხელშეკრულების დადებამდე პირობებს სათანადოდ არ გაეცნო. ხელშეკრულების დადებისას, ერთი შეხედვით, უმარტივესი და, ამავე დროს, უმნიშვნელოვანესი ეტაპი - ხელშეკრულების შინაარსის სრულყოფილად გაცნობა და გააზრება - ყველასათვის მოსაზრებელია და დროის ტყუილ ხარჯვად აღიქმება.

როგორც აღვნიშნე, ხელშეკრულების თავისუფლების პრინციპი პირებს ანიჭებს თავისუფლებას, კანონის ფარგლებში დადონ მათთვის სასურველი და ხელსაყრელი ხელშეკრულება. პირობების გაცნობაზე უარის თქმით, პირი, კონტრაქტს აძლევს სრულ თანხმობას და მოქმედების თავისუფლებას, რომ დისპოზიციური ნორმებიდან ნებისმიერი მის სასიკეთოდ შეცვალოს. მართალია, სსკ-ის 52-ე მუხლში განმტკიცებულია სამოქალაქო სამართალში მოქმედი პრინციპი, რომლის მიხედვითაც, „ნების გამოვლენის განმარტება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან“, ამავდროულად, თუ ხელშეკრულების რომელიმე პირობის ინტერპრეტაცია სხვადასხვაგვარადაა შესაძლებელი, ის უნდა განიმარტოს იმ მხარის სასარგებლოდ, რომელსაც ხელშეკრულების შედგენისას მონაწილეობა არ მიუღია, მაგრამ, ხშირ შემთხვევაში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ერთ-ერთ მხარედ გამოდის რომელიმე კომპანია, ხელშეკრულება იმდენად დეტალურად არის გაწერილი, რომ მისი სხვაგვარი განმარტება, უბრალოდ, შეუძლებელია.

2013 წლის ოქტომბერში ავსტრალიაში ჩატარდა კვლევები იმის დასადგენად, თუ რამდენი ადამიანი კითხულობს დაზღვევის პოლისის პირობებს ხელის მოწერამდე. კვლევებმა აჩვენა, რომ „მე ვკითხულობ დეტალურად დაზღვევის პოლისის პირობებს, სანამ თანხმობას განვაცხადებ“ გამოკითხულთაგან მხოლოდ 9% დაეთანხმა, 46%-მა განაცხადა, რომ ისინი დაახლოებით ეცნობოდნენ დოკუმენტებს, 37% უფრო არ ეთანხმებოდა, ვიდრე ეთანხმებოდა, ხოლო 8% საერთოდ არც კითხულობდა.⁷⁰ უცნაურია ისიც, რომ როგორც, უფროსი, ისევე უმცროსი თაობაც თანაბრად არ კითხულობს საკუთარი დაზღვევის პოლისის პირობებს. იმავე კვლევებმა აჩვენა, რომ ხუთიდან ერთი ავსტრალიელი არ ცდილობდა დაეზუსტებინა ბუნდოვანი გამონათქვამები, პირობები და აშ. რომლებსაც მათი დაზღვევის პოლისი მოიცავდა.⁷¹

მოსახლეობის ამგვარი დამოკიდებულება მხოლოდ დაზღვევის პოლისის ყიდვისას არ იჩენს თავს. www.gamesation.co.uk ვებ-გვერდის შემქმნელებმა ჩაატარეს კვლევა, რათა დაედგინათ, რამდენი მომხმარებელი კითხულობდა ხელშეკრულების პირობებს საიტზე დარეგისტრირებამდე. ხელშეკრულებაში

⁷⁰ Prepared by Quantum Market Research for the Insurance Council of Australia, *The Understand Insurance Research Report*, Australia, October 2013, გვ. 16.

⁷¹ იქვე.

მითითებული იყო შემდეგი, რომ ვებ-გვერდის საშუალებით ოფერტის გაკეთების შემთხვევაში, თუ იგი განხორციელდებოდა ახ.წ 2010 წლის მეოთხე თვის პირველ დღეს, მყიდველი თანახმა იყო გადაეცა გამყიდველსთვის თავისი უკვდავი სული. გამყიდველის მიერ ამ უფლების რეალიზების სურვილის შემთხვევაში, მყიდველი ვალდებული იყო დაეთმო თავისი სული და ყველანაირი უფლება მასზე www.gamesation.co.uk ვებ-გვერდიდან მიღებული წერილობითი მოთხოვნიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში ან ჩაებარებინა გამყიდველის მიერ გამოგზავნილი მინიონისთვის. დაახლ. 100 000 მომხმარებელმა დააჭირა ღილაკს „თანახმა ვარ“.⁷²

უფრო ხშირია შემთხვევები, როდესაც ხელშეკრულების შემდგენი საკუთარ პასუხისმგებლობას მაქსიმალურად ამცირებს (მაგ: სსკ-ის 497-ე მუხლის მიხედვით, მხარეთა შორის შეთანხმებით შესაძლებელია შეიზღუდოს ან გამოირიცხოს გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას, მაგრამ ასეთი შეთანხმება იქნება ბათილი თუ გამყიდველმა განზრახ არ შეატყობინა მყიდველს ნაკლის შესახებ). ზოგჯერ, ხელშეკრულებაში შეიძლება ასეთი პირობაც აღმოჩნდეს: „კომპანია არანაირ პასუხისმგებლობას არ იღებს მისი მხრიდან ხელშეკრულების დარღვევაზე, კომპიუტერული პროგრამის არამიზნობრივი დანიშნულების გამოყენებისას წარმოშობილ ზიანზე ან მომხმარებლის მონაცემების დაცულობაზე.“⁷³ მოცემული პირობა ერთ-ერთი კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი კომპანიის ხელშეკრულებიდანაა ამოღებული. აშკარაა, რომ მიუხედავად მათი დიდი სურვილისა, მოიშორონ თავიდან ნებისმიერი სახის პასუხისმგებლობა, ეს პირობა, მინიმუმ მათი მხრიდან ხელშეკრულების დარღვევისას პასუხისმგებლობის გამორიცხვის ნაწილში, არ იქნება ნამდვილი.

ზოგიერთი კომპანია ხელშეკრულების შედგენას უფრო შემოქმედებითად უდგება და იუმორსაც არ აკლებს. მსგავსი ხასიათისაა, ამონარიდი კიდევ ერთი კომპიუტერული პროგრამების მწარმოებელი კომპანიის ხელშეკრულებიდან: „ჩვენ არ ვაცხადებთ, რომ ჩვენი პროდუქტი არის რაიმე მხრივ კარგი - თუ თქვენ ფიქრობთ რომ ის კარგია - არაჩვეულებრივია, მაგრამ ეს თქვენი გადასაწყვეტია. თუ ჩვენი პროდუქტი არ მუშაობს: რას

⁷² S. McDonald, JD and C. Carletta, JD, *Contract Basics*, Public Lecture October 8-10, 2012, University of Vermont Davis Center https://www.youtube.com/watch?v=2Mqn_RxRj84.

⁷³ იქვე.

იზამ! თუ თქვენ მილიონები დაკარგეთ, იმიტომ, რომ ჩვენმა პროდუქტმა კარგად ვერ იმუშავა, ეს თქვენ დაკარგეთ მილიონი და არა ჩვენ. თუ არ მოგწონთ ჩვენს მიერ პასუხისმგებლობაზე სრული უარი: რას იზამ! [...] ეს პირობა იგივეა, რასაც სხვა კომპიუტერული პროგრამების ხელშეკრულებებში ამოიკითხავთ, თუმცა მცირე განსხვავებით, ჩვენი ხელშეკრულება ნორმალურ, გასაგებ ენაზეა დაწერილი. ჩვენ არ გვინდოდა საერთოდ რაიმე შეგვეტანა ხელშეკრულებაში, მაგრამ ჩვენმა იურისტებმა დაგვადალეს. მართალია, ვეცადეთ მათთვის არ მოგვესმინა, თუმცა ისინი ზვიგენებით დაგვემუქრნენ, ამიტომ, საბოლოოდ, დავეთანხმეთ.“⁷⁴

ხელშეკრულების დადებისას შემდეგ, თუკი იგი აკმაყოფილებს კანონის მოთხოვნებს, დაუშვებელია მისი ბათილად ცნობის მოთხოვნა ისეთი მიზეზებით, როგორებიცაა: მხარეთა შორის მოლაპარაკებები ხელშეკრულების დადებამდე არ ყოფილა (მაგ.: ე.წ EULA – End User License Agreement), „არ არსებობს დოკუმენტი“ - ხელშეკრულება არ დადებულია წერილობით (თუ კანონი პირდაპირ არ ითვალისწინებს წერილობითი ფორმის დაცვას), მხარეს არ წაუკითხავს ხელშეკრულების პირობები სანამ ხელს მოაწერდა, არ არის ერთ-ერთი მხარის მიმართ „სამართლიანი“ და სხვა. ასეთ დროს მოქმედებს პრინციპი *pacta sunt servanda* („ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“).

ამგვარად, ხელშეკრულების დადებისას ყოველთვის გასათვალისწინებელია *caveat emptor* („მყიდველი უნდა გაფრთხილდეს“) პრინციპი. აქვე აღსანიშნავია საქართველოს უზენაესი სასამართლოს მიერ გაკეთებული განმარტება, რომ მოსარჩელეთა მიერ მითითება, თითქოსდა მათ არ იცოდნენ, რა ხელშეკრულებაზე აწედნენ ხელს, არ შეიძლება ჩაითვალოს გაირგების ბათილობის საფუძვლად, რადგან გარიგებაზე ხელმოწერა უკვე თავისთავად ადასტურებს გარიგების შინაარსის ცოდნას.⁷⁵

დასკვნა

სამოქალაქო სამართალში არაერთი მნიშვნელოვანი პრინციპი მოქმედებს, რომელთაგან ერთ-ერთია სახელშეკრულებო თავისუფლება. მისი შეზღუდვა მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებშია დასაშვები.

⁷⁴ იქვე.

⁷⁵ იხ. საქართველოს უზენაესი სასამართლოს საქმეები N ას-1342-1182-2010 და N ას-829-1080-04.

ამავდროულად, სწორედ ამ პრინციპის გამო, ხელშეკრულების დადებისას ნებისმიერ ადამიანს, განურჩევლად მისი პროფესიისა თუ გამოცდილებისა, ყოველთვის დიდი ყურადღების გამოჩენა მართებს ხელშეკრულების თითოეული პირობისადმი, რადგან თუ, ერთი მხრივ მოცემული პრინციპი ჩვენ სასიკეთოდ შეგვიძლია გამოვიყენოთ, სხვა შემთხვევაში, შეიძლება, მისი „მსხვერპლიც“ გავხდეთ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს კონსტიტუცია
2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი
3. ხუბუა გ., სამართლის თეორია, თბ. 2004
4. ჯორბენაძე ს., ხელშეკრულების თავისუფლების ცნება, „სამართლის ჟურნალი“ N1, 2014, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბ., 2015
5. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი IV, ტომი I, თბ., 2001, „მერიდიანი“
6. Alan Watson, The Evolution of Law: The Roman System of Contracts, 1984
7. Prepared by Quantum Market Research for the Insurance Council of Australia, The Understand Insurance Research Report, Australia, October 2013
8. საჯარო ლექცია - S. McDonald, JD and C. Carletta, JD, *Contract Basics*, Public Lecture October 8-10, 2012, University of Vermont Davis Center
https://www.youtube.com/watch?v=2Mqn_RxRj84

რეზიუმე

სტატიის მიზანია სახელშეკრულებო თავისუფლების ცნების განსაზღვრა, მისი მოქმედების საზღვრების დადგენა ქართულ კერძო სამართალში. ასევე, სახელშეკრულებო სამართალთან მიმართებით, ქართულ საზოგადოებაში დამკვიდრებული პრობლემის, „გულგრილობის“, წარმოჩენა და კონკრეტული მაგალითების განხილვის საფუძველზე ამ პრობლემის აღმოფხვრის მნიშვნელობის ხაზგასმა. ნაშრომში ასევე, განხილულია უზენაესი სასამართლოს პრაქტიკიდან მოყვანილი ცალკეული გადაწყვეტილებები, სადაც მხარეთა ავტონომიასა და ხელშეკრულების თავისუფლებას მთავარი როლი უკავია. ამ გადაწყვეტილებების გაცნობისას,

მკითხველისთვის ნათელი გახდება რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპსა და სახელშეკრულებო ბოჭვას.

სტატია განკუთვნილია არა მხოლოდ სამართალმცოდნეთათვის, არამედ ნებისმიერი ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისთვის.

სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა სამოქალაქო სამართალში

მარიამ მაჭარაშვილი

კავკასიის უნივერსიტეტის მაგისტრი

შესავალი

სამოქალაქო ბრუნვის სწრაფი და ხარისხიანი განხორციელებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სახელშეკრულებო ურთიერთობის მონაწილეთა მხრიდან ვალდებულებათა ნორმალურ რეალიზაციას. პრინციპი „ხელშეკრულება უნდა შესრულდეს“ „Pacta Sunt Servanda“ მსოფლიოს დიდი ნაწილის მართლწესრიგის მნიშვნელოვანი დანაწესია, რომელიც უმთავრესად განსაზღვრავს სახელშეკრულებო პირობების შესრულების სავალდებულო ხასიათს, რათა დაცულ იქნეს სამოქალაქო ბრუნვის სტაბილურობა და სახელშეკრულებო წონასწორობა. თუმცა ვალდებულების შეუსრულებლობა სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი რისკი და თანმდევი მოვლენაა. სამოქალაქოსამართლებრივი პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობა შეიძლება მოჰყვეს ვალდებულების დარღვევას და ასევე წარმოიშვას დელიქტის შედეგად. სახელშეკრულებო პასუხისმგებლობას უმთავრესად იწვევს მხარეთა შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობა და ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან არაჯეროვანი შესრულება, ხოლო დელიქტური პასუხისმგებლობის დროს მხარეები არ არიან ერთმანეთთან სახელშეკრულებო ურთიერთობით დაკავშირებულნი. რომის სამართლიდან მოყოლებული პასუხისმგებლობის ამ ორი სახის ურთიერთმიმართება ყოველთვის აქტუალური იყო და დღესაც ასეთად რჩება. ხანგრძლივი პერიოდის დისკუსიის მიუხედავად დღემდე არ არის სამოქალაქო სამართალში შემუშავებული სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის გამიჯვნის ერთიანი კრიტერიუმი. პრაქტიკაში პასუხისმგებლობის ეს ორი სახე საკმაოდ ხშირად კვეთს ერთმანეთს, რაც იწვევს მოთხოვნათა კონკურენციას და წარმოშობს ბევრ წინააღმდეგობასა და აზრთა სხვადასხვაობას.

წინამდებარე სტატიაში განხილულია სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა და შემუშავებულია კონკრეტული რეკომენდაციები ამ პრობლემის გადასაჭრელად.

1. სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი სახეები

ქართული სამართლის ცნებათა სისტემაში ვალდებულებას ერთ–ერთი ცენტრალური ადგილი უკავია.⁷⁶ ვალდებულების შინაარსში ორი ძირითადი ელემენტი ჯერ კიდევ რომის სამართლიდან მოყოლებული არის ძალაში. კერძოდ, სახეზე გვაქვს ერთი პირის უფლება მოითხოვოს შესრულება და მეორე პირის მოვალეობა შეასრულოს ის. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის თანახმად, ვალდებულება როგორც სამართლებრივი ურთიერთობა სხვადასხვა საფუძვლიდან წარმოიშობა. ვალდებულების წარმოშობის ყველაზე გავრცელებული საფუძველი არის ხელშეკრულება, სადაც ყველაზე კარგად ჩანს კერძო სამართლის ბუნება, რამდენადაც ურთიერთობის მონაწილეები თავად აწესრიგებენ ურთიერთობებს ერთმანეთში და ნებაყოფლობით კისრულობენ ამა თუ იმ ვალდებულების შესრულებას. გარდა ხელშეკრულებისა, ვალდებულების წარმოშობის საფუძვლები პირდაპირ კანონითაც არის გათვალისწინებული. ამიტომ მათ კანონისმიერ ვალდებულებებს უწოდებენ. სსკ-ის 317-ე მუხლის პირველი ნაწილი პირდაპირ მიუთითებს ზიანის მიყენების (დელიქტის) და უსაფუძვლო გამდიდრებიდან წარმოშობილ ვალდებულებებზე.

ვალდებულების მნიშვნელობა მხარეებისთვის მხოლოდ გარკვეული უფლებებისა და მოვალეობების მინიჭებით არ შემოიფარგლება, ვინაიდან მისი რეალიზაცია სამართლებრივი დაცვის საშუალებით არის განპირობებული. ანუ ის, რაც არ სრულდება ნებაყოფლობით, მხარის მიერ შეიძლება შესრულდეს ვალდებულების ძალით. ვალდებულების შეუსრულებლობა სამოქალაქო ბრუნვისთვის დამახასიათებელი ჩვეულებრივი რისკი და თანმდევი მოვლენაა. ვალდებულების დარღვევა არის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დადგომის საფუძველი, რომელიც უმთავრესად მიმართულია იმისკენ, რომ მოხდეს უფლებადარღვეული პირის მდგომარეობის აღდგენა. ვალდებულების წარმოშობის სხვადასხვა საფუძვლის არსებობას საბოლოოდ მივყავართ

⁷⁶ სურგულაძე ნ, რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს ინსტიტუციები წ III ტ III. თბილისი, 2002, გვ. 168.

ვალდებულების დარღვევის სხვადასხვა სახესთან. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი იცნობს როგორც ხელშეკრულების დარღვევით წარმოშობილ სამოქალაქო პასუხისმგებლობას, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ სამოქალაქო-სამართლებრივ პასუხისმგებლობას.

2. სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის თანაფარდობა

სამოქალაქო სამართალში მეცნიერ-იურისტთა შორის ხანგრძლივი დისკუსიის მიუხედავად დღემდე არ არის ჩამოყალიბებული სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის გამიჯვნის ერთიანი კრიტერიუმი.⁷⁷ დელიქტური პასუხისმგებლობის და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ზოგადი დახასიათებისას შეიძლება ითქვას, რომ თუ სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისათვის აუცილებელია, რომ სახეზე იყოს მხარეთა შორის არსებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შეუსრულებლობა, ან არაჯეროვანი შესრულება, რის შედეგადაც ირღვევა კონკრეტული ვალდებულებები და მხარეს ეკისრება ხელშეკრულებით ან ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული პასუხისმგებლობა, დელიქტით ზიანის მიყენება ხდება იმ პირის მიერ, რომელიც დაზარალებულთან არ იმყოფება სახელშეკრულებო ურთიერთობაში და აქტიური კანონსაწინააღმდეგო მოქმედებით იწვევს პირის უფლებების (სიცოცხლე, ჯანმრთელობა) დარღვევას.⁷⁸ ანუ დელიქტური ურთიერთობა წარმოიშობა ზიანის მიყენების მომენტიდან და ის წესრიგდება კანონით განსაზღვრულ ფარგლებში. დელიქტის დეფინიციას საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არ იცნობს, თუმცა 992-ე მუხლი განსაზღვრავს, რომ „პირი რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი.“ საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა და შესაბამისად სახელშეკრულებო ურთიერთობები წარმოიშობა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის

⁷⁷ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ, “სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელის კონკურენცია” ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2011, გვ 70.

⁷⁸ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ, “სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელის კონკურენცია” ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №3, თბილისი, 2011, გვ 70.

ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილით და ვალდებულებითი სამართლის კერძო ნაწილით, დელიქტური ვალდებულებები კი არასახელშეკრულებო ურთიერთობათა რიცხვს მიეკუთვნება და წესრიგდება ამ ურთიერთობის მარეგულირებელი ნორმებით. ვალდებულებითი სამართლის ზოგადი ნაწილი კი ეხება როგორც სახელშეკრულებო, ისე არასახელშეკრულებო ურთიერთობებს. ამასთან უნდა აღინიშნოს, რომ პრაქტიკაში ხშირია, როდესაც ნორმები, რომლებიც არასახელშეკრულებო ურთიერთობებს არეგულირებენ, ხელშეკრულებიდან წარმოშობილ ურთიერთობებზეც ვრცელდება, მაგალითად სსკ-ის 527-ე მუხლი. სადაც ნაქვამია რომ გამჩუქებელმა განზრახ არ უნდა დამალოს გაჩუქებული ქონების ნაკლი, თუ იგი ბოროტი განზრახვით დამალავს გაჩუქებული ქონების ნაკლს, ვალდებულია დასაჩუქრებულს აუნაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი, მართალია, საქართველოს სამოქალაქო კოდექსი არსად მიუთითებს რომ 527-ე მუხლის ჰიპოთეზის დადგომისას გამოყენებული უნდა იქნეს დელიქტური პასუხისმგებლობის ნორმები, თუმცა აღნიშნული მუხლის განმარტებისას მეცნიერები მათ ნაშრომებში აღნიშნავენ რომ ზემოაღნიშნული მუხლის დადგომა იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას, მიუხედავად იმისა რომ ზიანის მიყენება ხდება იმ პირის მიერ, რომელიც სახელშეკრულებო ვალდებულებაშია დაზარალებულთან.⁷⁹ ეს ყველაფერი კი იწვევს სარჩელთა კონკურენციას, რამეთუ ურთიერთობაში იკვეთება როგორც სახელშეკრულებო, ისე დელიქტური პასუხისმგებლობის ნიშნები, მაგრამ მიუხედავად ამისა კოდექსი ცალსახად არ ამბობს, თუ პასუხისმგებლობის რომელი სახე უნდა იქნეს გამოყენებული.

3. სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა ურთიერთმიმართება

სარჩელის კონკურენციის პრობლემა უძველესი დროიდან მოყოლებული მეცნიერ-იურისტთა აქტიური განხილვის საგანია. სავინის მოსაზრებით მხოლოდ სარჩელის მიზნის იდენტურობაა ის წინაპირობა, რომელიც უდავოდ, ქმნის სარჩელთა ურთიერთდამთხვევას. ვინაიდან განავრცობს სავინის მიერ ჩამოყალიბებულ კრიტერიუმს და განმარტავს, რომ სარჩელის მიზნის იდენტურობა მხოლოდ იმ შემთხვევაში წარმოშობს კონკურენციას, როდესაც ერთი და იმავე მოთხოვნის მიზნის მიღწევა სხვადასხვა სამართლებრივი საშუალებით არის შესაძლებელი.⁸⁰

⁷⁹ ახვლედიანი ზ. ვალდებულებითი სამართალი, თბილისის 1999, გვ. 259.

ფრანგი იურისტი ჟ. მორანდიერი თავის ნაშრომში განიხილავს დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის ურთიერთდამოკიდებულების შემთხვევებს. მორანდიერის აზრით, როდესაც სახეზეა ბრალის ხარისხის მიუხედავად ხელშეკრულების მონაწილე მხარეთა შორის ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა ან მისი არაჯეროვანი შესრულება, ყოველთვის დადგება სახელშეკრულებო პასუხისმგებლობა, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ მესამე პირი რაიმე სახით დაკავშირებულია ამ ხელშეკრულებასთან, სახეზე იქნება დელიქტური პასუხისმგებლობა. ეს ყველაფერი კი სრულ შესაბამისობაში მოდის საფრანგეთის სამოქალაქო კოდექსით განსაზღვრულ დელიქტის ცნებასთან (მუხლი 1382).

საქართველოს სამოქალაქო კოდექსი ცდილობს, რომ გამორიცხოს სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის შეჯიბრებითობა (კონკურენცია) და პირდაპირ მიუთითებს იმ ურთიერთობებზე, რომლის მიმართაც დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იყოს გამოყენებული. ამ დროს შეიძლება ითქვას, რომ სარჩელთა კონკურენციას ფაქტობრივად ადგილი არ აქვს, რადგან კოდექსი დელიქტური ვალდებულებების ნაწილში იმპერატიულად განსაზღვრავს ხელშეკრულებიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისას დელიქტური პასუხისმგებლობის წესს. კერძოდ, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების პროცესში წარმოშობილ ზიანს კოდექსი ყოველთვის დელიქტური პასუხისმგებლობად მიიჩნევს შემდეგ შემთხვევებში:

სსკ-ის 999-ე მუხლის თანახმად, თუ მგზავრის გადაყვანისა და ტვირთის გადაზიდვის პროცესში სატრანსპორტო საშუალების ექსპლუატაციას მოჰყვა ადამიანის სიკვდილი, დასახიჩრება ან ჯანმრთელობის მოშლა, ანდა ნივთის დაზიანება, სატრანსპორტო საშუალების მფლობელი ვალდებულია რომ აანაზღაუროს ამით გამოწვეული ზიანი.

თუ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობას და სიცოცხლეს ზიანი მიადგა, დადგება დელიქტური პასუხისმგებლობა. სსკ-ის 1007-ე მუხლი არ იძლევა მითითებას, რომ სამედიცინო დაწესებულება ამ დროს სახელშეკრულებო ვალდებულებას ასრულებს. თუმცა 1007-ე მუხლი უდავოდ ის შემთხვევაა, როდესაც სამედიცინო დაწესებულება ასრულებს სახელშეკრულებო ვალდებულებას. ეს ყველაფერი შეიძლება იწვევდეს აზრთა სხვადასხვაობას, ამიტომ საჭიროდ მიმაჩნია, რომ განვიხილოთ აღნიშნული საკითხი. ერთი მხრივ, როდესაც შემთხვევით გამვლელი ექიმი ჰიპოკრატეს ფიცის საფუძველზე პირს გაუწევს

დახმარებას, ასეთი სამედიცინო დახმარება, რა თქმა უნდა, სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებად არ ჩაითვლება და საჭირო შემთხვევაში, ასეთი ქმედება დაკვალიფიცირდება დელიქტურ პასუხისმგებლობად, მაგრამ როდესაც ავადმყოფი სპეციალურად სამედიცინო დაწესებულებაში მიდის სამედიცინო მომსახურების მისაღებად, სამედიცინო დაწესებულებასთან ასეთი ურთიერთობა, როგორც გარიგების კონკლუდენტური ფორმა, სახელშეკრულებო ურთიერთობას წარმოშობს იმის მიუხედავად, შემდგომში წერილობით დაიდება თუ არა რაიმე ხელშეკრულება.⁸¹

სამოქალაქო კოდექსის 1009-ე და 1014 -ე მუხლები უხარისხო პროდუქტის მწარმოებელისათვის იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას თუ ამ პროდუქტის მოხმარების შედეგად ზიანი მიადგა მოქალაქის სიცოცხლეს, სხეულს ან ჯანმრთელობას. ამ დროს მნიშვნელობა არ აქვს უხარისხო პროდუქტის მწარმოებელი დაზარალებულთან იმყოფებოდა თუ არა სახელშეკრულებო ურთიერთობაში.

როგორც აღნიშნე ჩემს მიერ მოყვანილი სამივე შემთხვევა იწვევს დელიქტურ პასუხისმგებლობას, რაც აჩენს მოსაზრებას, რომ რთულია დადგეს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენცია. თუმცა პრაქტიკაში, ეს ყველაფერი მიუხედავად კანონის ცალსახა დანაწესისა, სხვაგვარად ხორციელდება.

განვიხილოთ უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაკოტრების საქმეთა პალატის 2005 წლის 13 აპრილის გადაწყვეტილება. მოსარჩელეს ექიმთან დადებული ხელშეკრულებით არასწორად გაუკეთდა ოპერაცია, რის შედეგადაც მისი მდგომარეობა იმდენად გაუარესდა რომ მან მიმართა სასამართლოს და მოითხოვა ზიანის ანაზღაურება. აღნიშნულ შემთხვევაში საოლქო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას დაეყრდნო სსკ-ის 1007-ე მუხლს და მიიჩნია, რომ სახეზე იყო დელიქტური პასუხისმგებლობა. გადაწყვეტილება მოპასუხემ გაასაჩივრა საკასაციო წესით, სადაც სასამართლომ სამოტივაციო ნაწილში მიუთითა რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველი იყო სამოქალაქო კოდექსის 394-ე მუხლის პირველი ნაწილი რადგან მხარეებს შორის არსებობდა

⁸¹ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია“, ჟურნალი „ მართლმსაჯულება და კანონი“. #3 (30)'11, გვ. 70-71.

სახელშეკრულებო ურთიერთობა.⁸² უზენაესი სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ვერ დავეთანხმები, რადგან აღნიშნულ შემთხვევაში აზრს კარგავს სსკ-ის 1007-ე მუხლის არსებობა, რომელიც როგორც მოგახსენეთ სწორედ იმას ემსახურება, რომ სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის არსებული სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილი ზიანის ანაზღაურების ვალდებულებაზე დელიქტური პასუხისმგებლობა გავრცელდეს.

ზემოაღნიშნულთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ ვალდებულების შესრულების პროცესში წარმოშობილი ზიანის ანაზღაურებისათვის მოპასუხეს დაეკისრება დელიქტური პასუხისმგებლობა, როცა სახეზე იქნება სსკ-ის 999-ე, 1007-ე, 1009-ე მუხლებით გათვალისწინებული შემთხვევა. თუმცა ხშირ შემთხვევაში ეს საკითხი პარქტიკაში ასე მარტივად არ წყდება და დღემდე პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ მუხლებთან არ გვაქვს საქმე მაშინ ცალსახად სარჩელის კონკურენციაა სახეზე, რომელიც მოსარჩელეს ამღევს საშუალებას მისი სურვილისამებრ აღძრას სარჩელი და მოითხოვოს მოპასუხისათვის სახელშეკრულებო ან დელიქტური პასუხისმგებლობის დაკისრება.⁸³ იურიდიულ ლიტერატურაში მეცნიერთა უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მოსარჩელემ აღნიშნული გადაწყვეტილება უნდა მიიღოს იმის მიხედვით თუ რომელი მოთხოვნა ჩააყენებს მას უპირატეს მდგომარეობაში. სწორედ ამაზე საუბრობს რუსეთის სამოქალაქო კოდექსის 1084-ე მუხლი, სადაც მითითებულია რომ თუ ხელშეკრულებით პასუხისმგებლობის უფრო მაღალი ზომაა გათვალისწინებული, მაშინ მხარემ უნდა მოითხოვოს სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის დაკისრება.⁸⁴ ვფიქრობ, აღნიშნული დანაწესი მისაღებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსისთვისაც.

სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის დროს ასევე მნიშვნელოვანია მოსამართლის როლი და მისი თავისუფლების ფარგლები. ვინაიდან სარჩელის კონკურენციის დროს უპირატესად

⁸² საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო, სამეწარმეო და გაცოტრების საქმეთა პალატის განჩინება №ას-33-406-05 , 13 აპრილი, 2005 წელი.

⁸³ სუხიტაშვილი დ, სუხიტაშვილი თ „სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია“, ჟურნალი „ მართლმსაჯულება და კანონი“. #3 (30)'11, გვ. 72.

⁸⁴ <http://www.russian-civil-code.com/PartII/SectionIV/Subsection1/Chapter59.html> (უკანასკნელად იქნა გადამოწმებული 15.05.2015).

გამოსაყენებელი ნორმის შერჩევა მოსამართლის კომპეტენციაა. ის კი, რომ მოსამართლემ სწორად შეარჩიოს მოთხოვნის საფუძველი და ასე ააგოს გადაწყვეტილების დასაბუთება აუცილებელია, როგორც ერთგვაროვანი პრაქტიკის ჩამოყალიბებისათვის, ისე სამართლებრივი სტაბილურობის უზრუნველყოფისათვის.⁸⁵ მონტესკიეს მიხედვით სასამართლო გადაწყვეტილების მიღებისას მოსამართლის გადაწყვეტილება მკაცრად იზღუდება კანონის ტექსტით, შესაბამისად იგი მხოლოდ კანონის ტექსტის გამხმოვანებელია.⁸⁶ თანამედროვე სამართლებრივ სისტემაში ეს განმარტება აღარ არის გაზიარებული, რამეთუ კანონი მკაცრად განსაზღვრავს მოსამართლის თავისუფლების ფარგლებს.

მნიშვნელოვანია რომ მოსამართლემ მოთხოვნათა კონკურენციის დროს გამოიყენოს ნორმა, რომელიც პროცესში გამარჯვებული მხარის სამართლებრივი ინტერესის დაცვას ყველაზე ეფექტურად და მარტივად უზრუნველყოფს და არ დაუშვებს ერთ-ერთი მხარის უფლებამოსილებათა უსაფუძვლო შეზღუდვას ან გაფართოებას.⁸⁷

დასკვნა

წინამდებარე სტატიაში დასმული იყო სამოქალაქო სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საკითხი: სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა სამოქალაქო სამართალში. ამ პრობლემის გადაჭრის გზების ძიებამ მიგვიყვანა შემდეგ დასკვნამდე: ვალდებულებითი ურთიერთობები წარმოიშობა კერძო სამართლის სუბიექტებს შორის და ის მხარეებს აკავშირებს სამართლებრივი კუთხით. პირი რომელიც დებს ხელშეკრულებას დარწმუნებულია, რომ შეასრულებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში დადგება მისი პასუხისმგებლობის საკითხი. როგორც პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს, პასუხისმგებლობის განცდა უდევს საფუძვლად ადამიანის არჩევანს - დადოს ხელშეკრულება ან არ დადოს იგი. ეს განცდა მნიშვნელოვან როლს ასრულებს სამოქალაქო ბრუნვის

⁸⁵ ძლიერიშვილი ზ, ცერცვაძე გ, რობაქიძე ი, სვანაძე გ, ცერცვაძე ლ, ჯანაშია ლ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 84.

⁸⁶ კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009, გვ. 65.

⁸⁷ ძლიერიშვილი ზ, ცერცვაძე გ, რობაქიძე ი, სვანაძე გ, ცერცვაძე ლ, ჯანაშია ლ, სახელშეკრულებო სამართალი, თბილისი, 2014, გვ. 84-85.

განხორციელებაში. სამოქალაქო სამართლებრივი პასუხისმგებლობა და ზიანის ანაზღაურების მოვალეობა კი ის „ბორკილია“, რომელიც შეიძლება მოჰყვეს როგორც ვალდებულების დარღვევას, ასევე წარმოიშვას დელიქტის შედეგად.⁸⁸

ჯერ კიდევ რომის სამოქალაქო სამართლიდან მოყოლებული ყოველთვის იპყრობდა იურისტთა ყურადღებას სახელშეკრულებო პასუხისმგებლობისა და დელიქტური პასუხისმგებლობის ურთიერთანაფარდობის პრობლემა. საქართველოს სამოქალაქო კოდექსს აქვს მცდელობა, რომ გამორიცხოს სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის კონკურენცია და პირდაპირ მიუთითებს იმ ურთიერთობებზე, რომლის მიმართაც დელიქტური პასუხისმგებლობის წესები უნდა იქნეს გამოყენებული. ამ დროს სარჩელთა კონკურენციას ფაქტობრივად ადგილი არ უნდა ჰქონდეს, თუმცა პრაქტიკაში ეს ყველაფერი საკმაოდ პრობლემურ საკითხს წარმოადგენს. რისი თვალსაჩინო მაგალითია ნაშრომის მესამე თავში მითითებული სასამართლო პრაქტიკა, რომლის ანალიზის საფუძველზე შეიძლება ითქვას რომ როდესაც სამედიცინო დაწესებულების მხრიდან მოხდება პაციენტის მიმართ ზიანის მიყენება ამ შემთხვევაში შესაძლებელია, წარმოიშვას კონკურენციის პრობლემა ვინაიდან ერთის მხრივ სახეზე გვაქვს სამედიცინო დაწესებულებასა და პაციენტს შორის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა და მეორე მხრივ დელიქტური სამართლის თავში არსებული ნორმა, რომელიც სამედიცინო დაწესებულების მხრიდან ზიანის ანაზღაურებას ეხება. სანამ არ მოხდება ამ პრობლემის გადაწყვეტა სახელშეკრულებო და დელიქტური სარჩელის კონკურენციას, მოსარჩელემ იმ ნორმაზე დაყრდნობით უნდა აღძრას სარჩელი, რომელიც მას უპირატეს მდგომარეობაში ჩააყენებს და რომლითაც ის უფრო ადვილად შეძლებს მისი ინტერესის დაკმაყოფილებას. ამ შემთხვევაში მხოლოდ მოსარჩელის პოზიცია არ არის მნიშვნელოვანი და დიდი მნიშვნელობა აქვს თავად მოსამართლეს, რომელმაც კონკურენციის დროს უნდა გამოიყენოს ნორმა, რომელიც პროცესში მონაწილე (დაზარალებული) მხარის სამართლებრივი ინტერესის დაცვას ყველაზე ეფექტურად და მარტივად უზრუნველყოფს. იმისთვის რომ თავიდან იქნას აცილებული სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა, აუცილებელია რომ ცვლილება შევიდეს სსკ-ის 1007-ე მუხლში კერძოდ, მასში

⁸⁸ ახვლედიანი ზ, სამართალი, თბილისი, 1999წ, გვ. 66-67.

მითითებული უნდა იყოს რომ სამედიცინო დაწესებულებაში მკურნალობისას პირის ჯანმრთელობისათვის მიყენებული ზიანისათვის სამედიცინო დაწესებულება პასუხს აგებს საერთო საფუძვლით მიუხედავად, იმისა იმყოფებოდა თუ არა იგი სახელშეკრულებო ურთიერთობაში დაზარალებულთან. მიმაჩნია რომ აღნიშნული ცვლილება გამორიცხავს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციას და დაგვეხმარება ამ პრობლემის მოგვარებაში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის კომენტარი, წიგნი მესამე, 2001
2. დუნდუა მ., დელიქტური პასუხისმგებლობისა და სახელშეკრულებო პასუხისმგებლობის თანაფარდობა. სამართლის ჟურნალი, 2009,1
3. სუხიტაშვილი დ., სუხიტაშვილი თ., სახელშეკრულებო და დელიქტური პასუხისმგებლობის სარჩელების კონკურენცია. ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, 2011,3
4. ძლიერიშვილი ზ., ცერცვაძე გ., რობაქიძე ი., სვანაძე გ., ცერცვაძე ლ., ჯანაშია ლ., სახელშეკრულებო სამართალი. თბილისი, 2014
5. სურგულაძე ნ., რომის სამართლის ძეგლები იუსტინიანეს ინსტიტუციები წ III ტ III. თბილისი, 2002
6. ახვლედიანი ზ., ვალდებულებითი სამართალი. თბილისის, 1999
7. თოდუა მ., ვილემსი ჰ., ვალდებულებითი სამართალი. თბილისი, 2006
8. ჩაჩავა ს., მოთხოვნისა და მოთხოვნის საფუძვლების კონკურენცია კერძო სამართალში. თბილისი, 2010
9. ძიგრაშვილი ქ., დელიქტური ვალდებულებანი. თბილისი, 2012
10. Сергеева А.П., Толстова Ю.К., Гражданское право, ч.1, СПб, 1996
11. Грибанова В.П., корнеева С.М., Советское гражданское право, т.1, М.,1979
12. Гришаев С.П., Г Гражданского Права, Москва, Юрист, Ч.1
13. Lando O., Beale H., Principles of European Contract Law, Part I and II, Kluwer Law International the Hague, london 2000
14. ROUHETTE G., “CIVIL CODE”, 2006

რეზიუმე

წინამდებარე სტატიაში შევეცადე ყურადღება გამემახვილებინა ისეთი პრობლემურ საკითხზე, როგორიცაა სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის პრობლემა სამოქალაქო სამართალში მთელი

თავისი სირთულითა და ხარვეზებით. შემოგთავაზეთ ამ პრობლემის გადაჭრის ჩემეული გზები, რაც, ვფიქრობთ, რომ გარკვეულწილად ხელს შეუწყობს სახელშეკრულებო და დელიქტურ მოთხოვნათა კონკურენციის საკითხის გადაჭრას სამოქალაქო სამართლებრივ პრაქტიკაში.

გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის უარყოფის საფუძველი

ეთო რუხაძე, რევაზ დეკანოსიძე

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტები

1. შესავალი

სამეწარმეო საზოგადოებათა კლასიფიკაცია ფაქტობრივად თითოეული მათგანის პასუხისმგებლობის ხასიათითა და მოცულობით განისაზღვრება.⁸⁹ მეწარმეთა სხვადასხვა პასუხისმგებლობის ფორმის არსებობა და მისი მნიშვნელობა დღის წესრიგში აყენებს საწარმოსა და პარტნიორთა პასუხისმგებლობის გამიჯვნის საკითხს, რაც გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული, რადგან არსებული მიდგომები არაერთგვაროვანია როგორც დოქტრინალური, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით.

საკორპორაციო სამართალში განასხვავებენ ამხანაგური და კაპიტალური ტიპის საზოგადოებებს; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოებაში პასუხისმგებლობა მესამე პირთა წინაშე ეკისრება როგორც საზოგადოებას, ისე მის პარტნიორებს,⁹⁰ ხოლო კაპიტალური საზოგადოებებს გააჩნიათ კაპიტალი, რომლის ფარგლებშიც აგებენ პასუხს კრედიტორთა წინაშე⁹¹ და მათთვის დამკვიდრებული ხუთი სამართლებრივი ნიშანიდან ერთ-ერთი არის საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობა.⁹²

⁸⁹ საკორპორაციო სამართალი, ჭანტურია ლადო, ქართული სამართლის საფუძვლები, 2000, გვ. 253.

⁹⁰ სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლების ქმედებებისათვის ქართულ სამართალში, შენგელია ეკა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი, გვ. 58-59, 2003.

⁹¹ სააქციო სამართლის საფუძვლები, ბურდული ირაკლი, I ტომი, მერიდიანი, თბილისი, 2000, გვ. 110-111.

⁹² მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კატიპალურ საზოგადოებათა საწყისეზზე, მახარობლიშვილი გიორგი, სამართლის ჟურნალი, #2, გვ. 114-115. 2011.

აღსანიშნავია, რომ საგამონაკლისო შემთხვევები შესაძლებელია პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა, ⁹³ რასაც ეწოდება გამჭოლი პასუხისმგებლობა.

სტატიის ფარგლებში ნათელი გახდება გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის არსი და მისი მოქმედების სფერო, შესაბამისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით, კვლევა განხორციელდება შედარებითი, სისტემური, ლოგიკური და ანალიტიკური მეთოდების გამოყენებით.

2. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ზოგადი მიმოხილვა

კრედიტორთა წინაშე შეზღუდული პასუხისმგებლობა დამახასიათებელია ისეთი მეწარმე სუბიექტებისათვის, როგორებიცაა: კომანდიტური საზოგადოება, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება, სააქციო საზოგადოება და კოოპერატივი.⁹⁴ ზოგადი პრინციპის მიხედვით, აქციონერთა პირადი პასუხისმგებლობა კომპანიის ვალდებულებათა გამო არ დგება, რაც გამომდინარეობს დასახელებულ მეწარმე-სუბიექტთა არსიდან და მათი შიდაკორპორაციული სტრუქტურიდან. პასუხისმგებლობის შეზღუდვის კანონმდებლობით აღიარებით იქმნება რეალური საშიშროება, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოიყენებისა, ამიტომაც, კანონი ითვალისწინებს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების, როგორც მოვალის, პარტნიორების პირადი პასუხისმგებლობით ჩანაცვლების შესაძლებლობას. რაც მის აბსოლუტურობას ეჭვქვეშ აყენებს.

შეზღუდვა შესაძლებელია, როგორც წესდების ისე ხელშეკრულების მეშვეობით,⁹⁵ რაც თანამედროვე ეკონომიკური თეორიის მიხედვით, არ წარმოადგენს პრობლემას კომპანიის ნებაყოფლობით კრედიტორებთან მიმართებაში, რომლებსაც გააჩნიათ მოლაპარაკების საშუალება (bargaining power), რითაც თავიდან აიცილებენ კომპანიასთან გარიგებაში შესვლის შემდეგ წარმოშობილ რისკებს. თუმცა ეს თეორია არ ითვალისწინებს არასახელშეკრულებო კრედიტორებს, რომლებიც წინასწარ არ შედიან

⁹³ პარტნიორის პასუხისმგებლობა, ქროფი ბრუნო, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2003, გვ. 232-233.

⁹⁴ საქართველოს კანონი „მეწარმეთა შესახებ“, მუხლი 3.4.

⁹⁵ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსხვავებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, გულაშვილი ნიკოლოზ, საკორპორაციოს სამართლის კრებული I, გვ. 81, 2011.

კომპანიასთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში და მათ მიმართ ვალდებულებები წარმოიშობა დელიქტიდან გამომდინარე.⁹⁶

მიუხედავად პასუხისმგებლობის შეზღუდვისა, სახელმწიფოს აქვს უფლებამოსილება შეცვალოს ძირითადი წესი, რაც წესდებით განმტკიცებული წესის ცვლილებასაც გულისხმობს.⁹⁷ გარკვეული გარემოებების არსებობისას სასამართლო საშუალებას აძლევს კრედიტორებს, გვერდი აუარონ კომპანიის შეზღუდულ პასუხისმგებლობას და მიიღონ დაკმაყოფილება უშუალოდ პარტნიორებისაგან მიუხედავად შეზღუდვასთან დაკავშირებული საკოორპორაციო სამართლის დაპირებისა. ამ პროცესს მოიხსენიებენ კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის უკუგდებად,⁹⁸ რასაც ტერმინოლოგიურად Piercing the Corporate Veil, ანუ გამჭოლი პასუხისმგებლობა ეწოდება.

შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმა ეკონომიკური თვალსაზრისით ცალსახად გამართლებულია, რადგან უმთავრესი უპირატესობა ქონების გამოჯვრის პრინციპია, რომელიც მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, კომპანიის დამფუძნებელთა პირადი ქონების დაცვას და, მეორე მხრივ, კომპანიის ქონების დაცვას პირადი სარგებლობისათვის უკანონო გამოყენებისაგან.⁹⁹

საგულისხმოა, რომ კანონმდებელი შეზღუდული პასუხისმგებლობის სოლიდარულით ჩანაცვლებას უკავშირებს ისეთი ლეგიტიმური მიზნის არსებობას, როგორიც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებისაგან კრედიტორთა დაცვაა. შესაბამისად, კანონმდებელი ფორმის ბოროტად გამოყენების დროს უპირატესობას ცალსახად კრედიტორთა დაცვას ანიჭებს, რადგან ზოგადი პრინციპის თანახმად, სამართლისაგან დაცვას არ იმსახურებს ის, ვინც მას არ იცავს.

2.1. გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის წარმოშობის საფუძვლები

⁹⁶ სუსგ №ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წელი.

⁹⁷ კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსხვავებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, გულაშვილი ნიკოლოზ, საკოორპორაციო სამართლის კრებული I, გვ. 81, 2011.

⁹⁸ დირექტორის მოვალეობანი კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ცერცვაძე ლაშა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, გვ. 111; აგრეთვე, Corporations Law and Policy, Materials and Problems, Bauman Russell, Stevenson, Jeffrey., WestAcademic Publishing, St.Paul, 2013, 296.

⁹⁹ სუსგ №ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წელი.

იურიდიულ დოქტრინაში არსებობს განსხვავებული მიდგომა გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის დამკვიდრებასთან დაკავშირებით. აშშ-ში ტერმინის Piercing the corporate veil დამკვიდრებას 1912 წელს პროფესორ მაურის ვორმსერის მიერ ნაშრომის შექმნას უკავშირებენ.¹⁰⁰ თუმცა სამეცნიერო წრეებში არსებობს მოსაზრება, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა ნაშრომის შექმნამდე არსებობდა, რადგან აშშ-ის სასამართლოები აქტიურად იყენებდნენ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპს.¹⁰¹

ინგლისში, სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, გამოყოფენ სამ სტადიას; კერძოდ, პირველი მოიცავს 1897 წლიდან II მსოფლიო ომამდე პერიოდს, როდესაც ერთ-ერთ საქმით გამოირიცხა პარტნიორთა პირადი პასუხისმგებლობა.¹⁰² მეორე მოიცავს II მსოფლიო ომიდან 1978 წლამდე პერიოდს, როცა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენებამ პიკს მიაღწია. 1978 წელს მიღებული გადაწყვეტილებით დაიწყო მესამე ეტაპი, რომელიც დღემდე გრძელდება და უარყოფს გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინას.¹⁰³

მართალია, ხსენებული დოქტრინა გერმანულ სამართალშიც აღიარებული იქნა სასამართლო გადაწყვეტილებებით, მაგრამ აღსანიშნავია, რომ სამართლის სისტემების შედარებისას იკვეთება, რომ აშშ-ში უფრო ინტენსიურად მიმდინარეობდა განვითარების პროცესი, ვიდრე ინგლისსა და გერმანიაში.

მიუხედავად იმისა, რომ 1994 წლის „მეწარმეთა შესახებ“ კანონი უკვე ითვალისწინებდა გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპს, ქართულ სამართლებრივ სივრცეში იგი თანდათან მკვიდრდება, შეიძლება ითქვას, რომ მისი პრაქტიკული თვალსაზრისით გამოყენება სულ რამდენიმე წელია დაიწყო.

2.2. გამჭოლი პასუხისმგებლობის მიზნები

¹⁰⁰ მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, ზუბიტაშვილი ნონა, სამართლის ჟურნალი #2, გვ. 37, 2014.

¹⁰¹ Wood v. Dummer, 30 F. Cas. 435 (C.C.D. Me. 1824) (No. 17, 944)., ასევე Booth v. Bunce (1865) 33 N.Y. 139.

¹⁰² Salomon vs Salomon, [1897] A.C. 22 (H.L.)

¹⁰³ T. Cheng, A Comparative Study of the English and the U.S., Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Vol 34, 2011, 334.

მიუხედავად იმისა, რომ გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი ფართოდ გამოიყენება სასამართლო პრაქტიკაში, ეს არ ნიშნავს იმას, რომ შეიცვალა კაპიტალური საზოგადოების შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპი, რადგან გამჭოლი პასუხისმგებლობა წამოადგენს გამონაკლისს და იგი ბევრი ნიუანსის დადგენაზე დამოკიდებული. მართალია, ერთი შეხედვით ეწინააღმდეგება საკორპორაციო სამართლის პრინციპს იურიდიული პირის შეზღუდული პასუხისმგებლობის შესახებ, მაგრამ იგი მიიჩნევა მართლზომიერ ქმედებად, რომელიც გამოიყენება უსამართლობის თავიდან ასაცილებლად.¹⁰⁴

პრეცედენტული სამართლის ანალიზისა და სამეცნიერო წრეებში გაბატონებული მოსაზრებების საფუძველზე შესაძლებელია, გამოვყოთ გამჭოლი პასუხისმგებლობის ორი ძირითადი მიზანი. პირველი და ყველაზე მნიშვნელოვანი მიზანია კრედიტორთა ინტერესების ეფექტური დაცვა; შესაძლებელია ითქვას, რომ ეს არის უკიდურესი ღონისძიება, რომელსაც სასამართლო მიმართავს, პარტნიორთა არაკეთილსინდისიერი ქმედების გამო. ამის გათვალისწინებით გამჭოლი პასუხისმგებლობა გვევლინება, როგორც ზიანის კომპენსაციის სამართლებრივი საფუძველი.¹⁰⁵ გამჭოლი პასუხისმგებლობის დაფუძნების მეორე მიზანი, სასამართლოს მოტივაციისა არის უსამართლობის აღკვეთა, რაც არაერთ სასამართლო გადაწყვეტილებაში პირდაპირაა მითითებული.¹⁰⁶

2.3. გამჭოლი პასუხისმგებლობის გავლენა დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე

გამჭოლმა პასუხისმგებლობამ შესაძლოა გავლენა იქონიოს მეწარმე სუბიექტებზე და მნიშვნელოვნად დააზიანოს ის, რადგან კორპორაციის, როგორც იურიდიული პირის სტატუსის იგნორირების ფონზე ექვექვემ დგება მისი დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის საკითხი.

¹⁰⁴ „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“, მაჭავარიანი სოფიო, უნივერსალი, თბილისი, 2016, გვ. 229.

¹⁰⁵ გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ჭრილში, ზუბიტაშვილი ნონა, თბილისი, გვ. 29.

¹⁰⁶ იხ. *Bair v. Purcell*, 500 F. Supp. 2d 468, 480. (M.D. Pa. 2007).

გამჭოლი პასუხისმგებლობის ყველა წინაპირობა საერთო ჯამში დადის იმ საერთო გარემოებამდე, როცა კორპორაციის დამოუკიდებლობა და განცალკევებულობა ფაქტობრივად არ არსებობს. მაგალითად, როდესაც კორპორაცია წინასწარი განზრახვით გამოყენებულია, როგორც მექანიზმი ვალდებულებებისათვის თავის ასარიდებლად (ინსტრუმენტალური თეორია) ან როცა პარტნიორის კონტროლის ხარისხი იმდენად მაღალია, რომ ასეთ პირობებში დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობა ვერ იარსებებს (ე.წ. alter ego).¹⁰⁷

სასამართლო დაადგენს პარტნიორის პასუხისმგებლობას, თუკი კომპანია შეიძლება მიჩნეულ იქნეს, როგორც პარტნიორის მეორე მე, ანუ ე.წ. alter ego¹⁰⁸, ამ შემთხვევაში, საზოგადოება და პარტნიორი იმდენად მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებული, რომ საზოგადოების, როგორც ცალკე სუბიექტის აღქმა ძალიან რთულია.¹⁰⁹ მეორე შემთხვევაში, შეზღუდული პასუხისმგებლობის გამოყენება შეიძლება განხილულ იქნეს, როგორც თაღლითობის სანქცირება ან უსამართლობის წახალისება.¹¹⁰

ორივე წინაპირობის არსებობისას დამოუკიდებელი სამართალსუბიექტის სტატუსი ფაქტობრივად ეჭვქვეშ დგას, რადგან, ერთ შემთხვევაში, იგი გაიგივებულია მის პარტნიორთან, ხოლო მეორე შემთხვევაში, პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა გამოყენებულია, როგორც არამართლზომიერი მიზნის მიღწევის საშუალება. მართალია, სამართლებრივი თვალსაზრისით, კორპორაცია დამოუკიდებელი და განცალკევებული სუბიექტი არის, მაგრამ შიდაკორპორაციული კონსტრუქციების გამო კორპორაციის დამოუკიდებლობა მაინც იკარგება.

2.4. გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძვლები

გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების ერთ-ერთი საფუძველია კომპანიის „არაადეკვატური კაპიტალიზაცია“, რაც გულისხმობს კომპანიის კაპიტალის სიმცირეს ან შეუსაბამობას საქმიანობის სახესა და რისკებთან.

¹⁰⁷ Cases and Materials on Coprorations, Hurst Thomas, Gregory William, Anderson, OHIO, 147.

¹⁰⁸ დირექტორის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ცერცვაძე ლაშა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, გვ. 111-112.

¹⁰⁹ Corporation Law, Gevurtz Franklin, West, A Thomson Reuters business, California, 2000, P. 70.

¹¹⁰ დირექტორის მოვალეობები კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ცერცვაძე ლაშა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, გვ. 112.

სხვაგვარად რომ ვთქვათ, აქ იგულისხმება მოსალოდნელი ეკონომიკური საჭიროებები და არა ფორმალურ-სამართლებრივი მოთხოვნები. „არაადეკვატური კაპიტალიზაციის“ ელემენტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება არასახელშეკრულებო კრედიტორებთან მიმართებით.¹¹¹

გამჭოლი პასუხისმგებლობის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ელემენტია „კორპორაციული ფორმალობების დაუცველობა“, როდესაც არ ხდება კრების მოწვევა და/ან ჩატარება; როცა მმართველობითი და წარმომადგენლობითი უფლებამოსილებები არ არის გამიჯნული; ხდება პარტნიორებისა და კომპანიის ქონების აღრევა; კომპანიის სახსრები გამოიყენება პარტნიორთა პირადი მიზნებისათვის, ხოლო პირადი ხარჯები მიიჩნევა კომპანიის ხარჯებად, ან როცა არ ხდება სათანადო ფინანსური ანგარიშგება და შესაბამისი დოკუმენტაციის წარმოება.

3. გამჭოლი პასუხისმგებლობის საკითხი სახელშეკრულებო და დელიქტურ ურთიერთობებში

კრედიტორები იმიჯნებიან ნებაყოფლობით კრედიტორებად, რომელთანაც კორპორაციას სახელშეკრულებო ურთიერთობა გააჩნდა, და არანებაყოფლობით კრედიტორებად, ვისთანაც ურთიერთობა დელიქტის საფუძველზე წარმოიშობა.¹¹²

სახელშეკრულებო ურთიერთობისას გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენება საკამათოა, რადგან კრედიტორმა თავად შეარჩია მოვალე და იგი ვალდებულია იწვნიოს მასთან დამყარებულ გარიგებასთან დაკავშირებული თანმდევი რისკი, რადგან მის ინტერესებში შედიოდა წინდახედულობის გამოჩენა კორპორაციის გადახდისუნარიანობასთან დაკავშირებით.¹¹³ ამ შემთხვევაში, თითქოს უსამართლოა გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინა, მაგრამ მაინც დასაშვებია, რადგან ყურადღება ექცევა იმ გარემოებას, რომ ხშირად შესაძლოა კორპორაციამ მოატყუა კრედიტორი და

¹¹¹ სუსგ ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი.

¹¹² კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსხვავებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, გულაშვილი ნიკოლოზ, საკორპორაციოს სამართლის კრებული I, გვ. 81, 2011.

¹¹³ საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, ბურდული ირაკლი, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, მერიდიანი, თბილისი, გვ. 255, 2009.

არასწორი ინფორმაციის მიწოდების საფუძველზე დაამყარა მასთან სახელშეკრულებო ურთიერთობა. ამ შემთხვევაში, პარტნიორი ვერ შეიმოსება „კორპორაციული საფარველით“ და პასუხისმგებლობისაგან თავს ვერ დაიმკრენს პასუხისმგებლობის შეზღუდვის ელემენტზე მითითებით.¹¹⁴

დელიქტის შედეგად წარმოშობილ კრედიტორებს თავად არ შეუძლიათ მხარე და თავდაცვის საშუალებანი არ გააჩნიათ, შესაბამისად სასამართლო უფრო მარტივად მიიღებს კომპანიის შეზღუდული პასუხისმგებლობის ფორმის უგულებელყოფის შესახებ გადაწყვეტილებას დელიქტური ზიანის შემთხვევაში.¹¹⁵ ამ დროს გადაწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება კორპორაციის ფინანსურ შესაძლებლობებს, თუ რამდენად იქნება შესაძლებელი კრედიტორის დაკმაყოფილება კორპორაციის რენტაბელურ მდგომარეობაში შენარჩუნების გათვალისწინებით.

კორპორაციული ჯგუფის შეზღუდული პასუხისმგებლობის პრინციპსა და კრედიტორთა უფლებების დაცვას შეეხება სასამართლოთა არაერთი გადაწყვეტილება, რაც ცხადყოფს, რომ ინსტიტუტი არა მხოლოდ მეცნიერთა, არამედ სასამართლო პრაქტიკაშიც ჯერ კიდევ მსჯელობის საგანია და ერთიანი მიდგომა ჩამოყალიბებული არ არის.

4. სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპის, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის გამომრიცხველი გარემოების არსებობა მნიშვნელოვანია არამარტო დოქტრინალურ, არამედ პრაქტიკულ დონეზე. გამჭოლი პასუხისმგებლობის, როგორც საკორპორაციო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის გამოყენება საქართველოში დაიწყო უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებებით, როდესაც სასამართლომ დააკონკრეტა პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება. ასეთად მან მიიჩნია საქმიანობა, რომელიც მიზნად ისახავს გადასახადებისაგან თავის არიდებას ¹¹⁶ და მოხდა შეზღუდული პასუხისმგებლობის პარტნიორებზე საზოგადოების ვალდებულებების გადაკისრება.

¹¹⁴ იქვე, გვ. 257.

¹¹⁵ დირექტორის მოვალეობანი კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, ცერცვაძე ლაშა, იურისტების სამყარო, თბილისი, 2016, გვ. 114-115.

¹¹⁶ პარტნიორის გამჭოლი პასუხისმგებლობა საზოგადოების საგადასახადო დარღვევისათვის (სამოსამართლო სამართლის სიახლე), ჭანტურია ლადო, გურამ ნაჭყებია - 75, 2016, 406.

ხსენებულ შემთხვევაში, საკასაციო სასამართლოს მსჯელობის საგანი იყო, ეკისრებოდათ თუ არა კომპანიის პარტნიორებსა და დირექტორს პირდაპირ და უშუალოდ, მთელი მათი ქონებით პასუხისმგებლობა კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებისათვის იმ შემთხვევაში, თუ დადასტურებულია, რომ კომპანიას აღნიშნული ვალდებულებების შესრულება არ შეუძლია - ამ შემთხვევაში, ჩვენი მსჯელობის თემა პარტნიორთა მიმართ გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გამოყენება.

სასამართლოს განმარტებით, გამჭოლი პასუხისმგებლობა გამოიყენება, როდესაც პარტნიორის მხრიდან ადგილი აქვს მოტყუებას, შეცდომაში შეყვანას ან მართლსაწინააღმდეგო მოქმედებას (fraud, misrepresentation, illegality) და ხდება ლეგიტიმურ საჯარო ინტერესზე მითითება, საგადასახადო მოთხოვნების აღსასრულებლად.¹¹⁷ აღსანიშნავია, რომ ვალდებულების შესრულების მოთხოვნა, პირველ რიგში წაყენებული უნდა იქნეს უშუალოდ საზოგადოების მიმართ და შემდეგ უნდა დაიწყოს სასარჩელო წარმოება პარტნიორთა მიმართ.

სასამართლომ პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენება დაუკავშირა პარტნიორის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას, თაღლითობას, გადასახადებისაგან თავის არიდებას და სხვა. შესაბამისად, საზოგადოების მიერ სამეწარმეო საქმიანობის განხორციელებისას მართოოდენ წამგებიანი გადაწყვეტილების მიღება ვერ გახდება გამჭოლი პასუხისმგებლობის გამოყენების საფუძველი.

საკასაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ნორმა ფართოდ განიმარტება და თავის თავში მოიცავს არა მხოლოდ პასუხისმგებლობის შეზღუდვის კორპორაციული ფორმის ბოროტად გამოყენებას, არამედ თავად შეზღუდული პასუხისმგებლობის, როგორც პასუხისმგებლობის ელემენტის, ბოროტად გამოყენებას, რაც გულისხმობს პარტნიორის მიერ პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრივილეგიის მართოოდენ სხვისი ინტერესების საზიანოდ გამოყენებას და საკუთარი ეკონომიკური რისკებისა და დანაკარგის სხვაზე გადაკისრებას კრედიტორის განზრახ შეცდომაში შეყვანით.¹¹⁸

¹¹⁷ სუსგ №ას-1307-1245-2014 6 მაისი, 2015 წელი; აგრეთვე, Corporations and Other Business Organizations, Cases and Materials, Melvin Eisenberg, 220-257, Foundation Press (9th ed. 2005).

¹¹⁸ სუსგ №ას-1158-1104-2014 , 6 მაისი, 2015 წელი.

5. დასკვნა

„კორპორაციული საფარველი“, რომლითაც კაპიტალური საზოგადოების პარტნიორი საკუთარი პირადი ქონებიდან პასუხისმგებლობისაგან დაცულია, შესაძლოა უმოქმედო აღმოჩნდეს. თუმცა გამჭოლი პასუხისმგებლობის შემთხვევის გამოყენება სხვადასხვა წინაპირობას უნდა ეფუძნებოდეს: 1) საზოგადოება უნდა იყოს ვადამოსული ვალდებულებების მიმართ გადახდისუუნარო; 2) საზოგადოებას საკუთარი პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმა გამოიყენებული უნდა ქონდეს ბოროტად, რაც გამოიხატება მათ მიერ ისეთი ვალდებულებების აღებაში, გადასახადების დამალვასა თუ სხვა ეკონომიკური დანაშაულის ჩადენაში, რომლის მიერ წარმოშობილი ზიანის ანაზღაურება საზოგადოებას საკუთარი შეზღუდული პასუხისმგებლობის არსებობის გამო რეალურად არ შეუძლია. ამასთან, ქმედების განხორციელებამდე მათ იცოდნენ, რომ ვალდებულებას ვერ შეასრულებდნენ და მოქმედებდნენ მარტოოდენ იმ მიზნით, რომ მიეღოთ მატერიალური სარგებელი და სხვა პირისათვის ზიანი მიეყენებინათ.

„კორპორაციული საფარველის“, როგორც პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის გარანტიის, უგულებელყოფა დაკავშირებული უნდა იყოს ისეთი ლეგიტიმური მიზნების მიღწევასთან, როგორებიცაა - პასუხისმგებლობის შეზღუდვის ფორმის ბოროტად გამოყენებისას კეთილსინდისიერი კრედიტორის დაცვა და უპირატესად სამართლებრივი უსაფრთხოება, რადგან სამართლის სუბიექტთა მიერ ნებისმიერი ინსტიტუტი არაკეთილსინდისიერი გამოყენებისას შეიძლება გახდეს ზიანის მიმყენებელი იარაღი სხვა სუბიექტთა მიმართ. გამჭოლი პასუხისმგებლობის პრინციპი მოქმედებს არა საზოგადოების პარტნიორთა მიერ საწარმოსათვის არამომგებიანი გადაწყვეტილების მიღებისას კრედიტორთა დაზარალების, არამედ პასუხისმგებლობის ფორმის, როგორც არამართლზომიერი მიზნის მიღწევის საშუალების, გამოყენების შემთხვევაში. საგულისხმოა, არც სასამართლო პრაქტიკაში გამჭოლი პასუხისმგებლობის წინაპირობები და საფუძვლები არ არის კარგად ჩამოყალიბებული და საჭიროა ამ საკითხის მეცნიერულ დონეზე დამუშავების შემდეგ ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის დამკვიდრება, რათა წინასწარ განჭვრეტადი იყოს პარტნიორებისთვის და კრედიტორებისათვის თუ როდის შეიძლება პირადი პასუხისმგებლობის დაკისრება.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ი. ბურდული, სააქციო სამართლის საფუძვლები, I ტომი, თბილისი, 2000
2. ს. მაჭავარიანი, „კორპორაციული ჯგუფების მართვა გერმანიასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში და მართვის პრინციპების ინტეგრაცია ქართულ კერძო სამართალში“, თბილისი, 2015
3. ნ. ზუბიტაშვილი, გამჭოლი პასუხისმგებლობის მიმართება პასუხისმგებლობის შეზღუდვის პრინციპთან კორპორაციის დამოუკიდებელი სამართალსუბიექტობის ჭრილში
4. ლ. ცერცვაძე, დირექტორის მოვალეობანი კომპანიების შერწყმისას და საკონტროლო პაკეტის გასხვისებისას, თბილისი, 2015
5. ლ. ჭანტურია, საკორპორაციო სამართალი, ქართული სამართლის საფუძვლები, 2000
6. გ. მახარობლიშვილი, მეწარმე სუბიექტთა დოგმატურ-თეორიული გამიჯვნა კატიპალურ საზოგადოებათა საწყისებზე, სამართლის ჟურნალი, #2, 2011
7. ი. ბურდული, საწესდებო კაპიტალი და მისი ფუნქციები, თანამედროვე საკორპორაციო სამართლის თეორიული და პრაქტიკული საკითხები, თბილისი, 2009
8. ნ. გულაშვილი, კორპორაციული საფარველის გაჭოლვა, როგორც კრედიტორთა დაცვის განსხვავებული ღონისძიება მშობელ-შვილობილ კომპანიათა ურთიერთობის კონტექსტში, საკორპორაციოს სამართლის კრებული I, 2011
9. ე. შენგელია, სააქციო საზოგადოების, როგორც იურიდიული პირის პასუხისმგებლობა მისი წარმომადგენლების ქმედებებისათვის ქართულ სამართალში, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2003
10. ბ. ქროფი, პარტნიორის პასუხისმგებლობა, II გერმანულ-ქართული სიმპოზიუმი საკორპორაციო სამართალში, თბილისი, 2003
11. ს. მაჭავარიანი, პასუხისმგებლობა კორპორაციულ ჯგუფში აშშ-ისა და გერმანიის სამართლის მიხედვით და მისი პრინციპების ინტეგრაციის პერსპექტივები საქართველოში, სამართლის ჟურნალი #1, 2013
12. ნ. ზუბიტაშვილი, მეწარმეთა შესახებ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-6 პუნქტის შეფასების სტანდარტი გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის ჭრილში, სამართლის ჟურნალი #2, 2014
13. A. Melvin Eisenberg, Corporations and Other Business Organizations, Cases and Materials, at 220-257, Foundation Press (9th ed. 2005)
14. Bauman, Stevenson, Jr., Corporations Law and Policy, Materials and Problems, 8, Ed, WestAcademic Publishing, St. Paul, 2013
15. F. Gevurtz, Corporation Law, USA, 2000, P. 70

16. T. Cheng, A Comparative Study of the English and the U.S., Corporate Veil Doctrines, Boston College International and Comparative Law Review, Vol 34, 2011.
(<http://lawdigitalcommons.bc.edu/cgi/viewcontent.cgi?article=1660&context=iclr>)

სასამართლო გადაწყვეტილებები:

17. სუსგ №ას-1158-1104-2014, 6 მაისი, 2015 წელი
18. სუსგ №ას-1307-1245-2014, 6 მაისი, 2015 წელი
19. Bair v. Purcell, 500 F. Supp. 2d 468, 480. (M.D. Pa. 2007)
20. Wood v. Dummer, 30 F. Cas. 435 (C.C.D. Me. 1824) (No. 17, 944)
21. Booth v. Bunce (1865) 33 N.Y. 139
22. Salomon vs Salomon, [1897] A.C. 22 (H.L.)

რეზიუმე

სტატიაში განხილულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის არსი და მისი მოქმედების სფერო, შესაბამისი პოზიტიური და ნეგატიური ასპექტებით. წარმოჩენილია, როგორც გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის წარმოშობის საფუძველები, ისე მისი მოქმედების მიზნები. ასევე გაანალიზებულია გამჭოლი პასუხისმგებლობის დოქტრინის გავლენა მეწარმე სუბიექტის დამოუკიდებელ სამართალსუბიექტობაზე და მისი გამოყენების საფუძველები. ყოველივე ზემოთხსენებული კი განხილულია ქართულ სასამართლო პრაქტიკასთან შეჯერებით, სწორედ ამიტომ სტატია საინტერესოა, როგორც თეორიული ისე პრაქტიკული კუთხით.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური უფლებები საქართველოში

ნატალია მაისურაძე

გრიგოლ რობაქიძის სახელობის უნივერსიტეტის
სამართლის სკოლის მაგისტრანტი

შესავალი

შესაძლებლობათა შეზღუდვა თანამედროვე განვითარებული სამყაროსთვის სულ რამდენიმე ათეული წელია რაც განხილვისა და დაცვის საგნად იქცა. საზოგადოების დამოკიდებულებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა მიმართ საკმაოდ ვრცელი ისტორია აქვს. ისტორიული საფუძვლების ცოდნა და ანალიზი კი, საშუალებას იძლევა ამაღლდეს საზოგადოების ცნობიერება, გახდეს იგი მეტად ცივილური, ვინაიდან იყო განსხვავებული არ ნიშნავს - იყო უცხო და მიუღებელი.

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ“ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2006 წლის 13 დეკემბრის კონვენციის თანახმად, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს განეკუთვნებიან ადამიანები ხანგრძლივი ფიზიკური, ფსიქიკური, გონებრივი ან სენსომოტორული დარღვევით, რომელიც სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებისას შეიძლება ხელს უშლიდეს მათ სრულ, ეფექტიან და თანასწორ მონაწილეობას საზოგადოებრივ ცხოვრებაში.

1. ტერმინები და ისტორიული მიმოხილვა

„შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირი“ და „ინვალიდი“ განსაზღვრა პირობითია (შემდგომში – შშმპ). მათი ინტერპრეტაცია დამოკიდებულია აღნიშნულ პირთა არსებობის კონკრეტულ პირობებზე, რომლის შედეგად სხვადასხვა ფიზიკური, ფსიქიკური, გონებრივი ან სენსომოტორული

დარღვევის მქონე პირებს არ გააჩნიათ პიროვნული განვითარებისა და თვითრეალიზების თანაბარი შესაძლებლობები.¹¹⁹

ანტიკური სამყაროდან დაწყებული გვიანი შუასაუკუნეების ჩათვლით, ინვალიდობის მქონე პირები დაცინვის ობიექტად მიაჩნდა საზოგადოების ყველა ფენას. ფიზიკური ნაკლის მქონე ადამიანებს ასევე, ჯადოქრებად, ალქაჯებად და მსგავსი ტიპის ბოროტ სუბიექტებად აღიქვამდნენ.

ასეთი დამოკიდებულება შემდეგ ასწლეულებშიც არ შეცვლილა. 18-ე და 19-ე საუკუნეებში ძალიან პოპულარული იყო თეატრალური სანახობები, სადაც მთავარი დატვირთვა სხვადასხვა სახის ფიზიკური დარღვეულობის მქონე ადამიანებზე მოდიოდა.¹²⁰

20-ე საუკუნიდან, განსაკუთრებით კი პირველი და მეორე მსოფლიო ომების პერიოდში, ყველა კონტინენტზე გაიზარდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა რაოდენობა, ჩამოყალიბდა ასობით ვეტერანთა და შეიარაღებული კონფლიქტების შედეგად დაშავებულთა გამაერთიანებელი მოძრაობა. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა თავად დაიწყეს საკუთარი უფლებებისთვის ბრძოლა და დროთა განმავლობაში საკმაოდ დიდ წარმატებებს მიაღწიეს.

თანამედროვე ცივილიზებულ სამყაროში, წარსულთან შედარებით, მათი სამართლებრივი მდგომარეობა გაცილებით გაუმჯობესებულია. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალურ და სხვა უფლებებზე აქტიური ზრუნვა კი 2006 წელიდან დაიწყო, როდესაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ მიიღო “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია”.

აღნიშნული კონვენცია – UNCPRD და მისი დამატებითი ოქმი 2006 წლის 13 დეკემბერს მიიღეს, ხელმოსაწერად კი 2007 წელს გაიხსნა. გახსნის დღესვე კონვენციას ხელი მოაწერა 82-მა სახელმწიფომ, ხოლო დამატებით ოქმს 44-მა სახელმწიფომ. აღსანიშნავია, რომ ხელმოწერების ასეთი დიდი რაოდენობა

¹¹⁹ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“- თავი I, საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილება.

¹²⁰ “შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია“- რატი იონათამიშვილი, თბილისი 2007 წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ელექტრო ბიბლიოთეკა - <http://www.nplg.gov.ge/gsd/cgi-bin/library.exe?e=d-00000-00---off-0civil2--00-1---0-10-0---0--0direct-10---4-----0-11--10-ka-50---20-about---00-3-1-00-0-0-01-1-0utfZz-8-00&a=d&c=civil2&cl=CL1.2&d=HASH61204635a5e6f6c1101d4e.2#HASH61204635a5e6f6c1101d4e.2> .

პირველივე დღეს, უპრეცედენტოა გაეროს ისტორიაში. კონვენცია ძალაში 2008 წლის 3 მაისს შევიდა. დოკუმენტს ამჟამინდელი მონაცემებით ჰყავს 158 ხელმომწერი და 143 მონაწილე სახელმწიფო.

UNCRPD წევრ სახელმწიფოებს აკისრებს ვალდებულებას ხელი შეუწყონ და უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების უფლებების დაცვა არა მხოლოდ საკანონმდებლო და ინსტიტუციური მექანიზმების დანერგვით, არამედ შესაბამისი ადმინისტრაციული და ქმედითი ღონისძიებების გატარებით.¹²¹

საქართველოში შშმ პირთა სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლა 80-იანი წლების ბოლოს დაიწყო, 90-იანი წლებიდან კი ის ძირითადად საპროტესტო ხასიათს ატარებდა. სწორედ მაშინ მოხდა სხვადასხვა ფორმის შეზღუდვის მქონე ორგანიზაციების (უსინათლოების, სმენის არმქონეთა, ეტლით მოსარგებლეების, მშობლების, შშმ პირთა სპორტის და სხვა) გაერთიანება, რომლებიც ხელისუფლებისგან არა ცალკეული სერვისების მხარდაჭერას, არამედ თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფას მოითხოვდნენ.

1997 წელს „შშმ პირთა ლიგის“ თაოსნობით შეიქმნა შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა არასამთავრობო ორგანიზაციების ერთობლივი საბჭო, რომელიც 1999 წელს, როგორც საზოგადოებრივი გაერთიანება, დაფუძნდა და ეწოდა „კოალიცია დამოუკიდებელი ცხოვრებისათვის“. დღეს მის შემადგენლობაში შედის შშმ პირთა საკითხებზე მომუშავე 28 არასამთავრობო ორგანიზაცია.¹²²

საქართველო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ მიღებულ “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების შესახებ” კონვენციას (UNCRPD) 2009 წელს შეუერთდა. კონვენციის რატიფიცირება კი საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 2013 წლის დეკემბერში განახორციელა.

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის რატიფიცირებისას, საქართველომ მოამზადა დეკლარაცია (მე-12 მუხლთან მიმართებაში), რომლითაც საქართველომ აიღო ვალდებულება, განახორციელოს სამართლებრივი ნორმების პრაქტიკული იმპლემენტაცია

¹²¹ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლემენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში“ – ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013 წ.

¹²² თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები - შშმ პირთა უფლებების ისტორია http://disability.ge/index.php?option=com_content&task=view&id=8693&Itemid=67.

ადამიანის სამართლებრივი დაცვის საერთაშორისო და შიდა კანონმდებლობის ერთობლივი განმარტებით.¹²³

მიუხედავად იმისა, რომ 1995 წელს უკვე მიღებული იყო საქართველოს კანონი „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის“ შესახებ, (რომელმაც მომდევნო წლებში არაერთი ცვლილება განიცადა), ქვეყანაში რეალური საკანონმდებლო ცვლილებების ინიცირება შშმ პირთა სოციალური უფლებების დასაცავად, მხოლოდ 2014 წლიდან დაიწყო და დღემდე მიმდინარეობს.

აღსანიშნავია, რომ იმპლემენტაციის პროცესი ხანგრძლივი და ხარვეზებით აღსავსეა. ეტაპობრივად ხდება სხვადასხვა საკანონმდებლო აქტების მორგება კონვენციის მოთხოვნებთან, თუმცა ჯერ კიდევ არ არის სამართლებრივად გაწერილი ბევრი მნიშვნელოვანი პუნქტი, რომელიც შშმ პირთა დისკრიმინაციის აკრძალვასა და მათი უფლებების რეალურ დაცვას უზრუნველყოფს.

2. სტატისტიკური მონაცემები

მნიშვნელოვანია ქვეყანაში მცხოვრებ შშმ პირთა სტატისტიკური მონაცემების განხილვაც, ვინაიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების შესახებ სტატისტიკური ინფორმაციის არარსებობა, შეუძლებელს ხდის პრობლემების რეალურ გამოვლენას და შშმ პირთა საჭიროებების დანახვას. საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს, ასევე საქართველოს სტატისტიკის ეროვნულ სამსახურის მიერ აღწუსებული მონაცემები 2015 წლის 1 მარტისთვის ასე გამოიყურება: საქართველოში რეგისტრირებულია სახელმწიფო სოციალური დახმარების მიმღები 118 651 შშმ პირი, რაც საქართველოს საერთო მოსახლეობის (3 729.5) დაახლოებით 3% -ია.

შშმ პირთა რაოდენობა რეგიონების მიხედვით
www.idfi.ge

¹²³ გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის იმპლემენტაციის გაიდლაინი, გვ. 32, თბილისი, 2014 წ.

რეგიონი	რეგისტრირებული შპმ პირი	% –ული წილი მოსახლეობაში
თბილისი	28172	2.5%
იმერეთი	23451	4.4%
აჭარა	13667	4.1%
სამეგრელო–ზემო სვანეთი	11963	3.6%
კახეთი	10009	3.1%
შიდა ქართლი	9729	3.6%
ქვემო ქართლი	8884	2.0%
სამცხე–ჯავახეთი	4445	2.8%
გურია	4245	3.8%
მცხეთა–მთიანეთი	2636	2.8%
რაჭა–ლეჩხუმი	1450	4.6%
სულ:	118651	3%

აღსანიშნავია, რომ წარმოდგენილი სტატისტიკური მონაცემები ასახავს მხოლოდ სტატუსის მქონე და სახელმწიფო გასაცემლების მიმღებ ბენეფიციართა რაოდენობას მთელი საქართველოს მასშტაბით და არა ზოგადად ყველა შპმ პირის რაოდენობას. რაც გვადლევს საფუძველს ვივარაუდოთ, რომ რეალურად შპმ პირთა რაოდენობა გაცილებით მეტია, ვიდრე ამას შესაბამისი უწყებების მიერ მოწოდებული ინფორმაცია ასახავს.¹²⁴

შპმ პირთა სოციალური უფლებების დაცვის საკითხი, განსაკუთრებით პრიორიტეტული გახდა საქართველოს მთავრობის მიერ შემუშავებულ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა თანაბარი შესაძლებლობების უზრუნველყოფის 2014-2016 წლების სამთავრობო სამოქმედო გეგმის დამტკიცების“ შემდეგ, სადაც დეტალურად გაიწერა შესასრულებელი ამოცანები, პასუხისმგებელი უწყებები, შესრულების ვადები და შედეგის ინდიკატორები.

თუმცა, სამწუხარო რეალობაა, რომ დოკუმენტური რეგულირების პარალელურად, ვერ ხორციელდება ეფექტური ღონისძიებები, სამოქმედო

¹²⁴ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სტატისტიკა შპმ პირთა შესახებ (IDFI) - <https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities>.

გეგმის სისრულეში მოსაყვანად. კერძოდ, დაბრკოლებები, რომლებსაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ადამიანები ყოველდღიურ ცხოვრებაში აწყდებიან, ფართო საზოგადოებისთვისაც თვალში საცემია. ქვეყნის მასშტაბით კვლავ პრობლემად რჩება ადაპტირებული ინფრასტრუქტურისა და სატრანსპორტო საშუალებების არარსებობა, რაც ზღუდავს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა დამოუკიდებელი ცხოვრების შესაძლებლობას და ხშირად ხდება მათი დისკრიმინაციის საფუძველი. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური უფლებების ხარვეზიანი ასპექტები კი, დღემდე მხოლოდ ამ პირთა გადაულახავ პრობლემად და საზოგადოების ყურადღების მიღმა რჩება. ასეთ პრობლემათა რიგებში დღეს სამართლის მრავალი მოქმედი აქტია. განვიხილოთ სოციალურ უფლებათა რეგულირების რამდენიმე ნორმა.

3. პირადი ცხოვრების უფლება

მოქმედი სამოქალაქო სამართლებრივი ნორმა, ქმედუვნაროდ აღიარებული პირს პირადი და ოჯახური ცხოვრების უფლებას უზღუდავს და ადამიანს, რომელიც ქმედუვნაროდ არის მიჩნეული, ართმევს ქორწინებისა და შვილის აღზრდის უფლებას.

პირის ქმედუვნაროდ მიჩნევა სასამართლოს გადაწყვეტილების საფუძველზე ხდება. რის შემდეგაც ადამიანს თავისი უფლებების დამოუკიდებლად განხორციელების შესაძლებლობა ერთმევა. ქმედუვნაროდ პირის აღიარება ავტომატურად იწვევს მისი უფლების უპირობო შეზღუდვას ქორწინებაზე.¹²⁵

საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, პირის ქმედუვნაროდ აღიარების სისტემა ქმედუვნარობის მოძველებულ კონცეფციას ემყარება, რადგან იგი გულისხმობს პირის უფლებების იმგვარ შეზღუდვას, რაც გამორიცხავს მისი შესაძლებლობების ინდივიდუალურ შეფასებას, თითოეულ უფლებასთან მიმართებაში.

აღსანიშნავია, რომ ეროვნული პრაქტიკა ამ კუთხით პოზიტიურად შეიცვალა 2014 წლის 8 ოქტომბრიდან, როდესაც მიღებულ იქნა გადაწყვეტილება საქმეზე „საქართველოს მოქალაქეები - ირაკლი ქემოკლიძე და დავით ხარაძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ“. ამ

¹²⁵ საქართველოს სამოქალაქო კოდექსი, 1120-ე მუხ, 1-ლი ნაწ, „ე“ ქვეპუნქტი -28/10/15 წლის მდგომარეობით.

გადაწყვეტილებით სასამართლომ არაკონსტიტუციურად ცნო ფსიქიკური დაავადების გამო შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების ქმედუვნაროდ აღიარებისა და მასთან დაკავშირებული საკანონმდებლო რეგულაციები.

საკონსტიტუციო სასამართლომ დაავალა საქართველოს პარლამენტს შეიმუშაოს და მიიღოს ისეთი საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც შესაბამისობაში იქნება საქართველოს კონსტიტუციის მეორე თავით აღიარებული ადამიანის უფლებების სტანდარტებთან და ასევე, გაეროს „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების კონვენციის“ (UNCRPD) მოთხოვნებთან.¹²⁶

თუმცა, ხაზგასასმელია, რომ ქმედითი ნაბიჯები საქართველოს პარლამენტის მხრიდან ჯერჯერობით არ გადადგმულა.

4. შრომის უფლება

შშმ პირები სარგებლობენ საერთაშორისო აქტებით აღიარებული და დაცული ყველა იმ უფლებით, რითაც ჩვეულებრივი ადამიანები. შესაბამისად, მათ აქვთ შრომის სამართლიანი და ხელსაყრელი პირობებით სარგებლობის უფლებაც.¹²⁷

მთავრობის სამოქმედო გეგმაში გაწერილი პუნქტი: შშმ პირთათვის შრომისა და დასაქმების თანაბარი უფლების უზრუნველყოფის შესახებ, პრაქტიკულ რეალიზებას მოკლებულია. სახელმწიფოს მხრიდან ჯერ კიდევ არ არის შემუშავებული ამ პირთა დასაქმების ხელშეწყობის პოლიტიკა. საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, შრომით ურთიერთობაში აკრძალულია დისკრიმინაცია შეზღუდული შესაძლებლობის ნიშნით.¹²⁸ თუმცა, შშმ პირები ხშირად განიცდიან დისკრიმინაციულ მოპყრობას დამსაქმებლის მიერ დასასაქმებელთა შერჩევის პროცესში. ხშირად ისინი გასაუბრებაზე მისვლასაც კი ვერ ახერხებენ შენობისთვის პანდუსების არქონის გამო.

რაც შეეხება უკვე დასაქმებულ შშმ პირთა მდგომარეობას, სამართლებრივი რეგულირება ასეთია: კერძო სექტორში დასაქმებულ პირებს

¹²⁶ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, გვ. 4 - საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის სპეციალური ანგარიში.

¹²⁷ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ მე-7 მუხლი - 1966 წლის 16 დეკემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეა.

¹²⁸ საქართველოს შრომის კოდექსი, მე-2 მუხ, მე-3 ნაწ. - 27/09/2013 წლის მდგომარეობით.

უფლება აქვთ ანაზღაურების პარალელურად მიიღონ სოციალური პაკეტი. საჯარო საქმიანობის განხორციელების პერიოდში – წყდება სოციალური პაკეტის მიღების უფლება. იგი უნარჩუნდებათ მხოლოდ მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე და მხედველობის გამო მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს. საშემოსავლო გადასახადით კი არ იბეგრებიან ბავშვობიდან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე, აგრეთვე მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების მიერ კალენდარული წლის განმავლობაში მიღებული დასაბეგრი შემოსავალი 6000 ლარამდე.¹²⁹

აღსანიშნავია, რომ შშმ პირთა უმეტესობას შრომის უფლების პრაქტიკულ განხორციელებაში უმეტესად კეთილგანწყობილი კოლეგები და ახლობლები ეხმარებიან, ვინაიდან არაადაპტირებული გარემო პირობები მათთვის დღემდე დამაბრკოლებელ გარემოებად რჩება.

5. განათლების უფლება

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საზოგადოებაში ინკლუზიისთვის მეტად მნიშვნელოვანია მათთვის განათლების მიღების საკითხი. განათლება მიმართულ უნდა იქნას ადამიანის პიროვნებისა და მისი ღირსებების შემეცნების სრულად განვითარებისაკენ და განამტკიცებდეს ადამიანის უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებებისადმი პატივისცემას.

130

შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს სახელმწიფომ უნდა შეუქმნას აუცილებელ პირობები განათლებისა და პროფესიული მომზადებისათვის. „განათლების ორგანოები ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის ორგანოებთან ერთად ვალდებული არიან უზრუნველყონ ამ კატეგორიის ბავშვთა სკოლამდელი და სკოლის გარეშე აღზრდა მათთვის ჯეროვანი სარეაბილიტაციო დახმარების გაწევის ხელსაყრელი შესაძლებლობების შექმნის მიზნით, აგრეთვე შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის საშუალო-სპეციალური და უმაღლესი

¹²⁹ საგადასახადო კოდექსი, 82-ე მუხ. მე-2 ნაწ. - 27/12/2010 წლის მდგომარეობით.

¹³⁰ „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“, მე-13 მუხ. - 1966 წლის 16 დეკემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეა.

განათლების მიღება რეაბილიტაციის ინდივიდუალური პროგრამის შესაბამისად¹³¹

აღსანიშნავია, რომ მთავრობის სამოქმედო გეგმის (2014-2016წწ) მიხედვით, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პირთათვის შესაბამისი სამართლებრივი ჩარჩოებისა და გარემო პირობების ადაპტირების საკითხები უკვე დაწყებულია და მეტ-ნაკლებად ქმედითიც. ამ პერიოდისთვის თბილისის 10 და 6 რეგიონის 30 სკოლაში, 2 პროფესიულ და 2 უმაღლეს სასწავლებელში მიმდინარეობს შშმ პირთა განათლების დაფინანსების სისტემის პილოტირებაც, რაც მისასალმებელი ფაქტია.

6. კულტურულ ცხოვრებაში მონაწილეობის მიღების უფლება

დასახელებული უფლების რეალიზების საკითხი მწვავედ დგას ქართველ შშმ პირთათვის და შეიძლება ითქვას, რომ იგი საერთოდ ვერ ხორციელდება. „სახელმწიფო ხელისუფლების უმაღლესი, ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები ვალდებული არიან უზრუნველყონ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის პირობები, რათა მათ თავისუფლად ისარგებლონ კულტურულ-სანახაობითი დაწესებულებებით¹³² პრაქტიკულად კი ამ უფლების განხორციელება ვერ ხერხდება. ასეთი ფაქტი მოხდა 2015 წლის 12 თებერვალს, პაატა ბურჭულაძის საიუბილეო სადამოხეც, სადაც შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებმა განიცადეს დისკრიმინაციული მოპყრობა – ეტლით მოსარგებლე ადამიანებმა, რომლებიც მიწვეულნი იყვნენ საიუბილეო სადამოხეც, ვერ შესძლეს ღონისძიებაზე დასწრება, ვინაიდან არ იყო გათვალისწინებული მათი საჭიროებები და არ მოხდა პანდუსების დამონტაჟება რომელიც სპორტის სასახლეს აქვს. შშმ პირები გადაადგილდებოდნენ დაცვის თანამშრომელთა დახმარებით, რის გამოც, მათ პროტესტის ნიშნად დატოვეს დაწესებულება.¹³³

დასკვნა

¹³¹ „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“- საქართველოს კანონი, მე-14 მუხ. - 07/03/2014 წლის მდგომარეობით.

¹³² „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“- საქართველოს კანონი, მე-9 მუხ. - 07/03/2014 წლის მდგომარეობით.

¹³³ შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები, გვ. 11 - საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის სპეციალური ანგარიში.

სტატია ეფუძნება საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის შედარებით ანალიზს, ქვეყანაში არსებული მდგომარეობის პრაქტიკულ განხილვას და მიზნად ისახავს შშმ პირთა სოციალური უფლებების დაცვის გაძლიერებისთვის შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავებას, რაც შემდეგნაირად ჩამოყალიბდა:

1. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის სოციალური უფლებების პრაქტიკული რეალიზების ხელშეწყობის მიზნით, საჭიროა საზოგადოებისა და მასობრივი მედია საშუალებების მხრიდან განხორციელდეს ეფექტური მონიტორინგი მთავრობის სამოქმედო გეგმის (2014-2016 წწ.) ეტაპობრივ განხორციელებაზე;
2. დროულად განხორციელდეს შიდასამართლებრივ დოკუმენტებში საკანონმდებლო ცვლილებები, რომლებიც უზრუნველყოფენ შშმ პირთა დისკრიმინაციისაგან დაცვას;
3. მეტი ადგილი დაეთმოს საგანმანათლებლო დაწესებულებებში შშმ პირთა უფლებების შესახებ ტრენინგებსა და სხვადასხვა აქტივობებს, რაც ხელს შეუწყობს საზოგადოებაში ჯანსაღი და თანასწორი დამოკიდებულების ჩამოყალიბებას ასეთ პირთა მიმართ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაეროს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა კონვენციის იმპლემენტაციის გაიდლაინი, თბილისი, 2014 წ
2. გაეროს შშმ პირთა უფლებების კონვენცია და მისი იმპლემენტაციის მექანიზმები - ნინო გურული, ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC) <http://emc.org.ge/>
3. „ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ საერთაშორისო პაქტი“ - 1966 წლის 16 დეკემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეა
4. თანაბარი უფლებები, თანაბარი შესაძლებლობები - შშმ პირთა უფლებების ისტორია <http://disability.ge/>
5. ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის სტატისტიკა შშმ პირთა შესახებ (IDFI) - <https://idfi.ge/ge/statistics-of-persons-with-disabilities>
6. საგადასახადო კოდექსი - 27/12/2010 წლის მდგომარეობით
7. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი - 28/10/15 წლის მდგომარეობით
8. საქართველოს შრომის კოდექსი - 27/09/2013 წლის მდგომარეობით

9. “შესაძლებლობათა შეზღუდვის ისტორია” – რატი იონათამიშვილი, თბილისი 2007წ. საქართველოს პარლამენტის ეროვნული ელექტრო ბიბლიოთეკა – <http://www.nplg.gov.ge/>
10. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვის შესახებ“ – საქართველოს კანონი - 07/03/2014 წლის მდგომარეობით
11. “შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების დაცვის კონვენცია” - 2006 წლის 13 დეკემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეა
12. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებების კონვენციის იმპლმენტაციის პრაქტიკა ევროკავშირის წევრ ქვეყნებში“ – ადამიანის უფლებების სწავლებისა და მონიტორინგის ცენტრი (EMC), 2013
13. „შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური ინტეგრაციის კონცეფციის შესახებ“ – თავი I, საქართველოს პარლამენტის 2008 წლის 2 დეკემბრის დადგენილება
14. შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა უფლებები - საქართველოს სახალხო დამცველის 2014 წლის სპეციალური ანგარიში

რეზიუმე

სტატია მოიცავს საქართველოსა და საერთაშორისო კანონმდებლობის ანალიზს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური უფლებების შესახებ. კვლევის საგანია საქართველოში ფაქტობრივად არსებული სიტუაციისა და კანონით დადგენილი უფლებების პრაქტიკული გამოყენების რეალური შესაძლებლობების განსაზღვრა.

სტატიის მიზანია საქართველოს კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებსა და პრობლემატიკაზე სათანადო რეკომენდაციების შემუშავება.

კონტროლი საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობაზე ომბუდსმენი

მედეა ბაბუხაძია

*ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის იურიდიული
ფაკულტეტის ბაკალავრიატის სტუდენტი*

შესავალი

სტატიის თემას წარმოადგენს კონტროლი საჯარო ადმინისტრაციის საქმიანობაზე, კერძოდ ომბუდსმენის ცნება და მისი უფლებამოსილებები. ასევე საქართველოს კონსტიტუციის 43-ე მუხლით განმტკიცებული სახალხო დამცველის ინსტიტუტი. კონტროლი საჯარო მმართველობის სფეროში ადმინისტრაციული საქმიანობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი რეგულატორია და საინტერესოა ის თუ რა ბერკეტებით ახორციელებს ამ საქმიანობას ომბუდსმენი.

1. ომბუდსმენის ცნება

ომბუდსმენი¹³⁴ არის სპეციალურად დანიშნული ან არჩეული დამოუკიდებელი თანამდებობის პირი, რომელიც ადმინისტრაციულ დავებში გამოდის შუამავლად, აკონტროლებს ადმინისტრაციული ორგანოების მიერ ადამიანის უფლებების დაცვას და უფლებამოსილია ამ მიზნით ჩაატაროს გამოძიება, შესთავაზოს მაკორექტირებელი ქმედებები და წარმოადგინოს მოხსენებები.

ორგანიზაციულად ომბუდსმენის ინსტიტუტი შედგება მაღალი რანგის ერთი საჯარო თანამდებობის პირისა და მისი აპარატისგან, მაგალითად საქართველო-სახალხო დამცველი, მაგრამ შეიძლება მოიცავდეს რამდენიმე თანამდებობის პირსაც, მაგალითად შვედეთი სადაც ოთხი ომბუდსმენია. ომბუდსმენის ფუნქციები შეიძლება შეასრულოს კოლეგიურმა ორგანომ, მაგალითად გენერალურმა საბჭომ-თურქეთში, სახალხო უფლებათა დაცვის კოლეგიამ - ავსტრიაში, რომელიც სამი წევრისგან შედგება. ფედერაციულ

¹³⁴ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996, დოკუმენტის ნომერი 230.

სახელმწიფოებში ომბუდსმენს შეუძლია იმოქმედოს, ასევე შტატების დონეზე. მაგალითად, კანადაში ფედერალურ და პროვინციულ დონეებზე ომბუდსმენის 14 სამსახურია.

ზოგადი კომპეტენციის ომბუდსმენთან ერთად, რომლის საქმიანობაც ვრცელდება მართვის ყველა სფეროზე, რიგ ქვეყნებში იქმნება სპეციალიზებული ინსტიტუტები, რომელთა უფლებამოსილების სფეროში შედის ცალკეული დარგები ან მართვის საკითხები (ბუნდესტაგის რწმუნებული გერმანიის თავდაცვის სფეროში, პოლიციის ომბუდსმენი ისრაელში, ინფორმაციის საკითხების-კანადაში)¹³⁵.

ომბუდსმენის, როგორც პერსონიფიცირებული დეპოლიტიზირებული ინსტიტუტის, სამართლებრივის სტატუსი რეგულირდება საჯარო სამართლის ნორმებით. პირველ რიგში დგინდება მისი კომპეტენცია, რომლისთვისაც დამახასიათებელია ცალკეული იმპერატიული ელემენტები. მეორე-ადმინისტრაციული ორგანოების და თანამდებობის პირების ვალდებულებები, შეასრულონ ომბუდსმენის მოთხოვნები და რეკომენდაციები, მესამე - ომბუდსმენისთვის მოქალაქეთა მიმართვის წესი და მისი მოქმედების ძირითადი ფორმები.

არსებობს ომბუდსმენის ორი ძირითადი ტიპი, ლეგისლატურული, რომელიც მოქმედებს წარმომადგენლობითი ხელისუფლების ჩარჩოებში. სახელისუფლებო, რომელიც აღმასრულებელი ხელისუფლების ჩარჩოებში მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელი ორგანოა.

ლეგისლატურული ომბუდსმენი ამ ინსტიტუტის შედარებით გავრცელებული ფორმაა და დამახასიათებელია ქვეყნების დიდი უმრავლესობისთვის. იგი აირჩევა ან ინიშნება პარლამენტის ან ფედერაციული სუბიექტის წარმომადგენლობითი ორგანოს მიერ, როგორც თავისი წარმომადგენელი ან უფლებით აღჭურვილი პირი-ადამიანის უფლებების დასაცავად მმართველობითი საქმიანობის გახორციელებისას. ასეთი ტიპის ომბუდსმენი დამოუკიდებელი თავის საქმიანობაში, იგი მოქმედებს თავისი სახელით და დამოუკიდებლად, პარლამენტთან შეუთანხმებლად. ასეთი სტატუსი, უფლებამოსილებები და დამოუკიდებლობის გარანტიები დადგენილია კანონმდებლობით.

სახელისუფლებო ომბუდსმენს, კვაზი ომბუდსმენსაც უწოდებენ. კვაზი

¹³⁵ ირმა ხარშილამე - „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2014.

ომბუდსმენები ანგარიშვალდებულნი არიან აღმასრულებელი ხელისუფლების წინაშე და ინიშნებიან მის მიერ ან მისი აქტიური მონაწილეობით ცენტრალურ და რეგიონულ დონეზე (საფრანგეთი-მედიატორი, იტალია).

არსებობს ომბუდსმენის სამსახურის შერეული სისტემები. მაგალითად აშშ., სადაც შტატების დონეზე მოქმედებენ, როგორც ლეგისლაციური ომბუდსმენები, ასევე კვაზი ომბუდსმენები.

ომბუდსმენის საქმიანობა უმთავრესად ითვალისწინებს საჯარო ადმინისტრაციის აღმასრულებელ სფეროზე კონტროლს, როდესაც სამსახურებრივი მოვალეობების არასათანადოდ შესრულების შედეგად ხდება დარღვევები. სწორედ ამიტომ, ესპანეთის 1981 წლის კანონი სახალხო დამცველს ანდობს მაკონტროლებელ ძალაუფლებას “ცუდი მართვის” განსაკუთრებით ისეთი შემთხვევების დროს, როგორიცაა შეყოვნება, იგნორირება¹³⁶.

ომბუდსმენის ინსტიტუტი წარმოადგენს ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დავებისა და სამოქალაქო უფლებების დაცვის სუბსიდიურ საშუალებას. როგორც წესი ეს ორგანო აღჭურვილია ნარჩენი კომპეტენციით, რომელიც ავსებს ხარვეზებს და ახდენს შიდა კონტროლისა და ადმინისტრაციული აპელაციის სისტემის, ადმინისტრაციაზე საპარლამენტო და სასამართლო კონტროლის ნაკლის კომპენსაციას.

ომბუდსმენი დავის გახილვის დორს გამოდის, როგორც დამოუკიდებელი სახალხო სამართლებრივი შუამავალი მოქალაქეებსა და ადმინისტრაციულ ორგანოებს შორის.

ომბუდსმენის ინსტიტუტი ნებისმიერ სახელმწიფოში არის დეპოლიტიზირებული და იდეოლოგიურად ნეიტრალური ინსტიტუტი, რომელიც წარმოშობილი საკითხების გადასაჭრელად გამორიცხავს პოლიტიკურ ბრძოლას და პოლიტიკური პარტიების მხარდაჭერას.

1.1. ომბუდსმენის საქმიანობა ღია საზოგადოებისთვის

ომბუდსმენს არ აქვს უფლება, მიიღოს იურიდიული ძალის მქონე იმპერატიული გადაწყვეტილებები. როგორც წესი მას შეუძლია გასცეს

¹³⁶ ნ. წკეპლაძე - „ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო კონტროლის განხორციელების ეფექტური საშუალება“, ჟურნალი „სოლიდარობა“ 2008წ #2.

რეკომენდაციები, შეტყობინება, გაფრთხილება¹³⁷.

ომბუდსმენის კომპეტენცია ვრცელდება სახელმწიფო მმართველობის ფართო წრეზე. მისი კომპეტენციის მიღმა აღმასრულებელი ხელისუფლების მეთაურები, მთავრობა და სასამართლო. ომბუდსმენის უფლებამოსილების მოცულობა სხვადასხვა ქვეყანაში მნიშვნელოვნად განსხვავდება. ზოგიერთ სახელმწიფოში მისი კონტროლის სფეროშია მოქცეული ყველა სახელმწიფო დაწესებულება (ესპანეთი), ზოგში მისგან გამოირიცხება თანამდებობის პირთა ცალკეული კატეგორიები. მაგალითად: დანია, ნორვეგია, ახალი ზელანდია.

2. ომბუდსმენის საკონტროლო უფლებამოსილების განხორციელების წესი¹³⁸

- ომბუდსმენი ატარებს გამოძიებას, ძირითადად, მოქალაქეთა და სახელმწიფო მოხელეთა საჩივრების საფუძველზე. თუმცა მას საკუთარი შეხედულებითაც შეუძლია საქმის ინიცირება. საჩივრის შეტანის უფლება აქვს როგორც ფიზიკურ ისე იურიდიულ პირს. მიმართვის დამაბრკოლებელ გარემოებად ითვლება განმცხადებლის არასრულწლოვანება, ქმედუვნარობა, თავისუფლების აღკვეთის და ფსიქიატრიულ დაწესებულებებში ყოფნა.

- საჩივრის მიღებასა და გამოძიებაზე უარის თქმის საფუძველია შემდეგი გარემოებები: 1. განმცხადებელს არ აქვს საქმეში პირადი დაინტერესება 2. საჩივარი უმნიშვნელო ან არაკეთილსინდისიერია 3. ომბუდსმენი არ ფლობს საჭირო საშუალებებს გამოძიების ჩასატარებლად.

- განცხადების მიღების შემდეგ, ომბუდსმენი იწყებს მოლაპარაკებებს მხარეებთან, უბიძგებს კონფლიქტურ მხარეებს ურთიერთმისაღები კომპრომისის მისაღწევად. გამოძიების ჩატარების შემთხვევაში ომბუდსმენი თავისი შეხედულებით ირჩევს მისი განხორციელების მეთოდებს. მას შეუძლია დაესწროს სხდომებს, მოახდინოს შესაბამისი ორგანოებისა და დაწესებულებების ინსპექტირება (შვედეთში, მაგალითად, თითოეული ორგანო ათ წელიწადში ერთხელ აუცილებლად უნდა შეამოწმოს ომბუდსმენმა), ჩაატაროს არაფორმალური საუბრები და ღია მოსმენები, მხარეების, მოწმეების, ექსპერტების მონაწილეობით, როგორც ეს ხდება, მაგალითად, დიდ ბრიტანეთში.

- გამოძიების ჩასატარებლად, ომბუდსმენს გააჩნია მთელი რიგი

¹³⁷ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996, დოკუმენტის ნომერი 230.

¹³⁸ ირმა ხარშილაძე - „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2014.

მნიშვნელოვანი უფლებამოსილებანი. მას უფლება აქვს, ნებისმიერი თანამდებობის პირისა და მოქალაქისგან მოითხოვოს საქმის შესახებ მთელი ინფორმაცია და დოკუმენტები. ნორვეგიაში, თავისი მოვალეობის შესრულებისას, ომბუდსმენს უფლება აქვს, შეაღწიოს სამუშაო ადგილებზე, ნებისმიერი ადმინისტრაციული ორგანოსა და დაწესებულების ოფისებსა და სხვა ნაგებობებში, რომლებიც კი მოექცევა მისი საქმიანობის სფეროში.

ჩატარებული გამოძიების შედეგად, ომბუდსმენს უფლება აქვს მიიღოს იურიდიული ძალის არმქონე აქტები. ესენია: სახელმძღვანელო მითითებები, შენიშვნები, წინადადებები, რეკომენდაციები, სამახსოვრო ჩანაწერები. ომბუდსმენს რეკომენდაციების იგნორირების შემთხვევაში, უფლებააქვს, მხარდაჭერისათვის მიმართოს პარლამენტს. ფინეთსა და შვედეთში ომბუდსმენს შეუძლია, თვითონ აღძრას სისხლის სამართლის საქმე. საფრანგეთში მედიატორს შეუძლია აღძრას დისციპლინური წარმოება კანონის დამრღვევი ნებისმიერი სახელმწიფო მოხელის მიმართ.

გამოძიებისა და განხილვის დამთავრების შემდეგ ომბუდსმენი ადგენს ანგარიშს, რომელიც შეიცავს რეკომენდაციებს საქმის არსის შესახებ. ეს ანგარიში ეგზავნება საჩივრის შემომტან მოქალაქეს, ასევე თანამდებობის პირს, რომლის მოქმედებაც საჩივრდება. ბევრ ქვეყანაში კანონი ითვალისწინებს უწყების ხელმძღვანელის ვალდებულებას, შეატყობინოს ომბუდსმენს იმის შესახებ, თუ რა ზომების მიღებას აპირებს იგი დაშვებული უსამართლობის აღმოსაფხვრელად.

თვითონ ომბუდსმენს, არ შეუძლია უშუალოდ რაიმე მბრძანებლურ-იძულებითი საშუალებით ზეგავლენა მოახდინოს ადმინისტრაციული ორგანოებისა და თანამდებობების პირთა მოქმედებებსა და გადაწყვეტილებებზე და მისცეს მათ შესასრულებლად სავალდებულო მითითებები. მას უფლება არ აქვს გააუქმოს უკანონო ადმინისტრაციული გადაწყვეტილება, შეცვალოს იგი საკუთარით ან მოითხოვოს მისი შეცვლა ან გაუქმება¹³⁹. ომბუდსმენის ძალა მის მორალურ ავტორიტეტშია, რაც დამყარებულია განსჯის კომპეტენტურობაზე და სამართლიანობაზე.

თანამედროვე პირობებში ომბუდსმენის ინსტიტუტი მოქმედებს არა მხოლოდ ეროვნულ, არამედ საერთაშორისო დონეზეც. მაგალითად 1995

¹³⁹ ნ. წკეპლაძე - „ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო კონტროლის განხორციელების ეფექტური საშუალება“, ჟურნალი „სოლიდარობა“ 2008წ N2.

წელს შეიქმნა ევროპის კავშირის ომბუდსმენის ინსტიტუტი. რომელსაც ნიშნავს ევროპარლამენტი უფლებამოსილია, შუამავლის როლში გამოვიდეს მოქალაქეთა და კავშირის ადმინისტრაციას შორის დაგვიბის რეგულირებისას. იგი უფლებამოსილია შეიმუშაოს რეკომენდაციები ევროპის კავშირის ინსტიტუტებისთვის და საქმე განსახილველად გადასცეს ევროპარლამენტს, რათა ამ უკანასკნელმა გამოიტანოს დასკვნები.

3. საქართველოს სახალხო დამცველი

ომბუდსმენის ინსტიტუტია საქართველოში, უპირველესად, 1995 წლის 24 აგვისტოს კონსტიტუციით დამკვიდრდა. ტერმინ „ომბუდსმენის“ შესატყვისად ქართველმა კანონმდებელმა „საქართველოს სახალხო დამცველი“ შეარჩია. საქართველოს კონსტიტუციის (შემდგომში, სკ) 43-ე მუხლი განსაზღვრავს საქართველოს სახალხო დამცველის კონსტიტუციურ-სამართლებრივ სტატუსს, რომელიც თავდაპირველი, 1995 წლის რედაქციით, დღემდე ძალაშია. საქართველოს სახალხო დამცველის სტატუსს და უფლებამოსილებებს აკონკრეტებს საქართველოს ორგანული კანონი „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“, რომელიც მიღებულია 1996 წლის 16 მაისს. „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ ორგანულ კანონში 1996 წლიდან დღემდე 9 ცვლილებაა შესული.

სახალხო დამცველი, საკონსტიტუციო სასამართლოს შემდეგ, საქართველოში მეორე დამოუკიდებელი კონსტიტუციური ორგანოა, რომელიც ფლობს უმნიშვნელოვანეს ფუნქციებს ადამიანის ძირითადი უფლებების დაცვის სფეროში ეროვნულ დონეზე¹⁴⁰. მიუხედავად იმისა, რომ სახალხო დამცველი საქართველოში უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს მიერ აირჩევა, ის საკანონმდებლო ხელისუფლებისაგან აბსოლუტურად დამოუკიდებელია და ნორმათა აბსტრაქტული კონტროლის მექანიზმის ფარგლებში „საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 21-ე მუხლის „ი“ ქვეპუნქტის შესაბამისად, საკონსტიტუციო სასამართლოს წინაშე სასარჩელო უფლებამოსილებითაც სარგებლობს. მიუხედავად იმისა, რომ ხელისუფლების რომელიმე შტოსადმი კუთვნილების შესახებ სახალხო დამცველის სტატუსის მომწესრიგებელ ნორმატივებში კონკრეტულად არაფერია მითითებული, კომპეტენციური და

¹⁴⁰ საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ, პარლამენტის უწყებანი, 13, 07/06/1996, დოკუმენტის ნომერი 230.

ფუნქციათა თავისებურებების გათვალისწინებით, აღიარებული მოსაზრებით, საქართველოს სახალხო დამცველი არ განეკუთვნება ხელისუფლების არცერთ შტოს. ამ მოსაზრებას ეხმიანება „სახალხო დამცველის შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-4 მუხლის პირველი ქვეპუნქტი, რომლის შესაბამისად, „საქართველოს სახალხო დამცველი თავის საქმიანობაში დამოუკიდებელია და ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებებითა და შეთანხმებებით, საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებითა და ნორმებით, ამ კანონითა და სხვა საკანონმდებლო აქტებით“.

საქართველოს სახალხო დამცველის ცნება და კომპეტენცია რეგულირებულია საქართველოს ორგანული კანონით სახალხო დამცველის შესახებ.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ირმა ხარშილაძე - „საზღვარგარეთის ქვეყნების ადმინისტრაციული სამართალი“, უნივერსიტეტის გამომცემლობა, თბილისი 2014
2. ლ. კოკიას „ადმინისტრაციული იუსტიცია და მისი სახეობები საზღვარგარეთის ქვეყნების მაგალითზე, ჟურნალი „მართლმსაჯულება და კანონი“ 2007წ.
3. ნ. წეპლაძე - „ადმინისტრაციული მართლმსაჯულება, როგორც სასამართლო კონტროლის განხორციელების ეფექტური საშუალება“, ჟურნალი „სოლიდარობა“ 2008წ #2
4. საქართველოს კონსტიტუციის კომენტარი, თავი მეორე საქართველოს მოქალაქეობა. ადამიანის ძირითადი უფლებანი და თავისუფლებანი.
5. საქართველოს ორგანული კანონი საქართველოს სახალხო დამცველის შესახებ.

რეზიუმე

თანამედროვე პირობებში ომბუდსმენი, როგორც მნიშვნელოვანი სუბსიდიური ინსტიტუტი, შეზღუდულად ინტეგრირდება ადმინისტრაციაზე კონტროლის ტრადიციულ მექანიზმში. იგი სპეციფიკური მეთოდებითა და საშუალებებით უზრუნველყოფს ადამიანის უფლებებისა და მოქალაქის დაცვას საჯარო ადმინისტრაციის მხრიდან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და თვითნებობის შემთხვევაში.

სტატია შემეცნებითი ხასიათისაა, რომელიც საინტერესო იქნება, როგორც მოქმედი იურისტებისთვის, ასევე იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებისათვის.



ორგანიზაციის სახელწოდება: ა(ა)იპ „ახალგაზრდა ადვოკატები“ ს/კ 401973094
ფაქტ. მისამართი: ზურაბ ჭავჭავაძის ქ., №12, თბილისი, საქართველო
ელ-ფოსტა: pryoungbarristers@yahoo.com;
დაარსების თარიღი: 2012 წლის 09 ივნისი
ვებ-გვერდი: www.barristers.ge
FB: www.facebook.com/AkhalgazrdaAdvokatebi
ბანკი: სს პროკრედიტ ბანკი, ორთაქალის ფილიალი
ანგარიშის ნომერი: GE92PC0563600100002778

სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ორგანიზაციის ვებ-გვერდზე.



ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი

ორგანიზაციის სახელწოდება: შპს „ადვოკატთა საგანმანათლებლო ცენტრი“ ს/კ
402014271

ფაქტ. მისამართი: ზურაბ ჭავჭავაძის ქ., №12, თბილისი, საქართველო

ელ-ფოსტა: infoedubarristers@gmail.com ; info@edubarristers.ge;

დაარსების თარიღი: 2015 წლის 07 მაისი

ვებ-გვერდი: www.edubarristers.ge

FB: www.facebook.com/edubarristers

ბანკი: სს „ბანკი რესპუბლიკა“

ანგარიშის ნომერი: GE48 BR00 0001 0852 5441 46

*სამეცნიერო ჟურნალის ელექტრონული ვერსია
განთავსებულია ცენტრის ვებ-გვერდზე.*